140
1963



# პიონერი · 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი კომუნიზმის ნორჩი მშენებელია,— ბეჯითად სწავლობს, მუყაითად შრომობს!



მარტის ბოლოს მოსკოვში ჩატარდა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების წევრებისა და ხელმძღვანელების საკავშირო შეკრება.

შეკრების მონაწილეებმა ილაპარაკეს მიღწეულ წარმატებებზე, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებანი, იკისრეს ახალი ვალდებულებები.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა თეთრიწყაროს საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის წევრი ნ ა თ ე ლ ა ფ ხ ა ლ ა ძ ე.

შეკრების მონაწილენი დიდი სიხარულით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი ს მისასალმებელ წერილს.

ეს ფოტოსურათები მოგვითხრობენ წულუკიძის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის საქმიანობაზე.





ფოტო
ი. კირშენბლატისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყვე-ლა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ვ.ი.ლენინი



გამოცემის XXXVII წელი

9071



# პიონერი

5 1963 მაისი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე და გიორგი
პაპაშვილები

ნახატები
დიმიტრი ხახუტაშვილისა

ნაწყვეტი მოთხრობისა
„ნოეს წყალობით“

# [illegible]

თუ ცხოველები არასოდეს გყვარებიათ, თუ არასოდეს გაგიღიათ მათთვის გული — ეს წიგნი გვერდზე გადადეთ და სხვა წაიკითხეთ, — ჩემი წიგნი თქვენ არ გამოგადგებათ. მე ხომ ჩემს მეგობრებზე მინდა გესაუბროთ, ჩემს მეგობარ ცხოველებზე — ძაღლებზე, დათვზე, ცხენებზე, კამეჩებზე, სპილოზე, რომლებსაც ხან სად ვეცნობოდი და ხან სად. ყველაზე მეტი კი დათვზე უნდა გიამბოთ.

მე რომ დავიბადე, ოჯახში დედაჩემისა და მამაჩემის გარდა, ფარეხის ძაღლიც იყო, სახელად — ბუცა.

როცა თავს უბედურება დაგვატყდა — დედა რომ გარდაიცვალა (მე სახეც კი არ მახსოვს მისი) ბუცამ დედის მაგივრობა გამიწია, — ძილის დროს გვერდით მეჯდა და მდარაჯობდა. რომ გავიღვიძებდი და ტირილს მოვრთავდი,— მინდორში გავარდებოდა და მამაჩემს მოიყვანდა ხოლმე. ფეხი რომ ავიდგი, მარტოდ არსად არ მიშვებდა, მიცავდა ცხენის წიხლისაგან, ფუტკრის ნესტრისაგან და საერთოდ ყველა იმ საფრთხისაგან, რომელიც უდედოდ დარჩენილ ბავშვს ემუქრება. თავდაპირველად ბუცა გოლიათად მეჩვენებოდა. იგი მაგიდაზე მაღალი და ტახტზე განიერი იყო. კუდის ქნევას რომ დაიწყებდა, ქარიშხალი ატყდებოდა ხოლმე.

შემდეგ თანდათან დაილია. ცოტა ხანს ტოლები ვიყავით — მხარსა და თვალს ვუსწორებდით ერთმანეთს. მერე ნელ-ნელა გავასწარი. გაზრდით კი გავიზარდე, მაგრამ მაინც ბუცა მბრძანებლობდა. იგი მკაცრი ძაღლი იყო და არც თავის შვილებს და არც მე არ გვაპატიებდა ხოლმე ბრიყვულ საქციელს. — ძაღლის ლეკვი და კაცის ლეკვი ორივე ლეკვიაო, — ფიქრობდა იგი. ბუცამ ჩემი მოვლა-პატრონობა კი იკისრა, მაგრამ მეგობრად მაინც არ მთვლიდა. იგი ჩვენი ოჯახის ძველი და საპატიო წევრი იყო და, ალბათ, ამიტომ არ მიყადრებდა თავს.

სამაგიეროდ, მისი ლეკვი, ბასარა, მეგობრობდა ჩემთან. იგი ჩემი პირველი და საუკეთესო მეგობარი იყო... მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე (მან ხუთი წელი იცოცხლა), დღე ერთად ვიყავით, პურს შუაზე ვიყოფდით და ღამეც ერთად გვეძინა. როცა კარგ ხასიათზე ვიყავი, — ისიც მხიარულობდა, დარბოდა, ყეფდა და ანცობდა. როცა მოვიწყენდი — ისიც... თუმცა, სანამ ბასარა მყავდა, არასოდეს მომიწყენია.

ერთ ღრუბლიან ღამეს ჩვენს ცხვრებს მგლები დაედევნენ. ბასარა ამ დროს ჩემს საწოლთან თვლემდა. მგლების ღმუილი რომ გაიგონა, გარეთ გავარდა და მარტოდ-მარტო შეებრძოლა მთელ ხროვას. მგლები დაიფრინა, ცხვრები შინ მოლალა, ყეფით გამოგვიხმო გარეთ — ჩაიბარეთო — და მხოლოდ ამის შემდეგ მოიცალა სასიკვდილოდ — გვერდით მომიწვა საწყალი და გათავდა.

ბასარა რუხი ძაღლი იყო, აქა-იქ შავიც ერია. ფართო მკერდი ჰქონდა. თვალები ოქროსფრად დაწინწკლულ ძვირფას ქვებს მიუგავდა. ხანდახან ახლაც ვგრძნობ ხელზე მისი ბანჯგვლიანი, მრგვალი თავის შეხებას, თითქოს მორბის კიდეც ჩემსკენ, ოცნებით წარმოდგენილ მწვანე მდელოზე...

მისი სიკვდილის შემდეგ ძაღლი აღარ ვიყოლიე — არ მინდოდა სხვას დაეკავებინა ბასარას ადგილი. მაგრამ სახლში ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო! სიცარიელე კედლებს ეხეთქებოდა და სიჩუმე იქაურობას იკლებდა, თუმცა კატებიც გვყავდა და მამალი ბატიც (მთელ საქართველოში იმაზე საზიზღარ ბატს ვერ იპოვიდით — სამი მეფე გამოიცვალა და იმდენი მტერი შეიძინა, რამდენიც იმ სამმა მეფემ ერთად). გვყავდა უღელი კამეჩი და ჩემი საკუთარი ოქროსფერი კვიცი — შალა. მართალია, მათთან ვმეგობრობდი კიდეც, მაგრამ იმათ თავიანთი საქმე ჰქონდათ მინდორში და საჯინიბოში, მე კი მინდოდა, ისეთი ვინმე მყოლოდა, ვინც ჩემთან შინ დარჩებოდა, რომ ერთად გვეძეირნა, ბურთი გვეთამაშა, გვეჭიდავა და სირბილში შევჯიბრებოდით ერთმანეთს. ასეთ მეგობრობას ძაღლი თუ გაგიწევს, მაგრამ სხვა ძაღლზე გული არ მიმდიოდა — თითქოს ბასარამ ჩემი გული გაიტაცა და დამალა, როგორც გამოხრულ ძვლებს მალავდა ხოლმე.

ათი წლისა ვიყავი. აღდგომამდე რამდენიმე კვირა-ღა იყო დარჩენილი; მთიდან ერთმა მწყემსმა ჩამოიარა, ჩვენთან მოვიდა და ძია გიორგის დანაბარები გადმომცა — ჩემთან ამოდიო.

ბიძაჩემი მთის გადაღმა ცხოვრობდა. იგი თითქმის ბრძენი იყო და, რომ მოენდომებია, ძალიან დიდი კაცი გახდებოდა. მასზე სწრაფი და კარგი ქვისმთლელი არც ჩვენს და არც მეზობელ მხარეში არ მოიძებნებოდა, მაგრამ ძია გი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგი მთიდან მხოლოდ მაშინ ჩამოდიოდა, როცა თამბაქო და მარილი შემოაკლდებოდა, შემდეგ კვლავ უკან გაბრუნდებოდა ხოლმე.

ძია გიორგიმ მთაში მარტოდ-მარტო ცხოვრება აირჩია. იგი თავისი ბაღ-ბოსტნის ნაყოფს სთავაზობდა ყველას, ვინც მის კარზე აივლიდა ან ჩაივლიდა — ცხოველი იქნებოდა იგი, თუ ადამიანი. მის ძახილზე ჩიტები ხეებს სტოვებდნენ, მელა სოროდან გამოძვრებოდა ხოლმე, ბებერი გველთევზა მორევის ფსკერიდან ამოყვინთავდა და ძია გიორგიც თავისი ხელით აჭმევდა ყველას. ფურირემს თავისი ნუკრი მიჰყავდა მასთან — ესიამოვნებაო. ძია გიორგის გარეული ტახებიც კი პატივს სცემდნენ და არას ერჩოდნენ. ისინი ხომ ყველა ცხოველზე უფრო ამაყნი და საშიშარნი არიან.

აი, ასეთი კაცი იყო ბიძაჩემი.

ადრეული გაზაფხულის ერთ დილას აღმართი ავათავე და ბიძაჩემის სახლის გზას დავადექი...

ძია გიორგი მწყერს ესაუბრებოდა. დამინახა თუ არა, საუბარი შეწყვიტა, შინ შემიყვანა და თაფლი, ზომარტლი, რძე და მჭადი გამომიტანა. ჭამა რომ დავამთავრე და ჩვენიანების ამბავი მოვუყევი, ძია გიორგი ბუხართან მივიდა, კალათიდან რაღაც ამოიღო და მითხრა: აი, ეს შენი სააღდგომო საჩუქარიო. იმ წამსვე მივხვდი, რომ ოცნება ამისრულდა. ამაზე უფრო არაფერი გამახარებდა ამქვეყნად.

— ჩემია? მართლა ჩემია?

— შენია. გყავდეს. აჭამე ხოლმე, დაბანე და სუფთა წყალი ასვი.

— აუცილებლად, აუცილებლად.

— არ უნდა დაჩაგრო. აბა, მაგის ადგილას შენი თავი წარმოიდგინე, ხომ გეწყინება, ვინმემ რომ დაგჩაგროს?

— არ დავჩაგრავ, მოიტა, ხელში ავიყვან.

— გახსოვდეს, ვინც ცხოველს ცუდად ექცევა, ის ცხოვრებაში ვერ გაიხარებს.

— ჰო, ჰო, კარგად მოვექცევი.

ძია გიორგიმ ხელებში ჩამისვა იგი. ვიგრძენი მისი გულისცემა, მრგვალსა და შავ დრუნჩზე და პაწაწინა ყურებზე მოვეფერე, შემდეგ ბანჯგვლიან ზურგზე გადავუსვი ხელი. მან მოთეთრო-მოლურჯო თვალები გაახილა, დაამთქნარა, საზამთროს გულივით წითელი ენა გამომიყო, დააცემინა და კვლავ ჩაიძინა.

— დედა სადა ჰყავს?

ბიძაჩემმა ნაღვლიანად გააქნია თავი.

— ხომ არ იდარდებს, ჩემთან რომ იყოს მისი შვილი?

— ვეღარ იდარდებს. აღარ არის. ერთი დღე სდიეს, მოკლეს და იქვე დატოვეს. ვითომ თავი შეიქციეს. ეს პატარა მის გვერდით ვიპოვე მტირალი და შეციებული. ცოტა ხანს რძე უნდა ასვა.

— ვასმევ, ვაჭმევ, დავბან ხოლმე. კარგად მოვუვლი, სანამ ცოცხალი ვიქნები — არ მოვიშორებ.

— რას დაარქმევ?

— კოლას.

ასე და ამგვარად, მეორე დღეს მე და ჩემი პატარა დათვის ბელი სახლისაკენ გავეშურეთ.

სამწუხაროდ, ჩემიანები არცთუ ისე კარგად შეხვდნენ კოლას: კატებმა ვითომ ვერც დაინახეს, ჩემმა კვიცმა — შალამ თვალები დააბრიალა და ჩიჩვირი ჩამოუშვა, კამეჩებმა — ლომამ და მერცხალამ — დიდი ყურები შეაფართხუნეს და კვლავ თივას მიუბრუნდნენ.

გადასცდა თუ არა კოლა სახლის ზღურბლს, მამალმა ბატმა ისე მწარედ უჩქმიტა მოკლე კუდზე, რომ კოლა საწოლის ქვეშ შეძვრა და ცხარე ცრემლებით ატირდა. კარგა ბლომად ფიჭიანი თაფლი დამჭირდა, რომ კვლავ ეზოში გამომეტყუებია.

ვაჩვევდი სისუფთავეს. თუთის სავარცხელი გამოვთალე და ყოველდღე ვვარცხნიდი. საბანაოდ რომ მივდიოდი, თან მიმყავდა ხოლმე. ვასწავლიდი, რომ ყველას მეგობრულად მოქცეოდა, სხვის საჭმელს არ მიჰკარებოდა, უმიზეზოდ არ დაეწყო ბურტყუნი და თამაშის დროს არ გამოეყენებია თავისი ბასრი კბილები.

ვასწავლე თავის დაკვრა, ხელის ჩამორთმევა, ჭიდაობა, ხტუნვა, სამწყობრო სიარული, სამხედრო სალამი, ბურთის დაჭერა და ქართული ცეკვა. შევასწავლე ყველაფერი, რაც კი ვიცოდი — როგორ გაყოლოდა ყვავილიდან აფრენილ ფუტკარს ფუღურომდე და როგორ გაერჩია მწიფე ვაშლი მკვახესაგან. ვაჩვენე ტყიდან ნაკაფისაკენ მიმავალი გზა, სადაც დიდი, ლურჯი ქლიავები იდგა. ოღონდ ეგ იყო, ქვით კაკლის გატეხვას ვერ მივაჩვიე — კბილით ამჯობინებდა. ვერც ცნობისმოყვარეობა მოვაშლევინე.

კოლასათვის მთელი სამყარო გამოცანა იყო და ყოველნაირად ცდილობდა მის ამოხსნას, თუმცა ამის გამო ხშირად ცუდ დღეში ვარდებოდა ხოლმე. ერთხელ, თავადის სახლის ასაგებად, ქალაქიდან ხელოსნები ჩამოვიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ დურგალმა შემომჩივლა — კოლამ დამიბურტყუნაო. ამის შემდეგ კოლას დღისით აღარ ვუშვებდი ეზოდან, მაგრამ ღამღამობით გამეპარებოდა და სულ დაივლიდა ხოლმე ხარაჩოებს. განა ცუდი რამ ედო გულში? არა, უბრალოდ, უნდოდა ცოდნოდა, როგორ მიდიოდა თავადის სახლის მშენებლობის საქმე.



დურგალმა გაიგო ეს ამბავი და ერთ ხარაჩოს საყრდენი გამოაცალა; კოლა ზედ შედგა თუ არა, ძირს ჩამოვარდა და ისე დაიჟეჟა, რომ ერთ კვირას ვეღარ გაიარა.

ერთ საღამოს დურგალს დაავიწყდა თავისი იარაღების შენახვა... მეორე დღეს ჩაქუჩი აღარ იყო! დურგალმა ყველაფერი გადააბრუნა, ჩაქუჩზე კი ამ დროს კოლა იჯდა, გრძელი ბრჭყალებით კბილებს იჩიჩქნიდა და ცალი ყბით იცინოდა. (ასეთი სიცილი მხოლოდ დათვებმა იციან).

მე, რაღა თქმა უნდა, დავტუქსე კოლა — ეს რატომ ჰქენი-მეთქი, მაგრამ, როდესაც საქმე კარგად შევისწავლე და მშენებლობაზე მომუშავე ქვისმთლელებიც კოლას მიუდგნენ, გამოირკვა, რომ დამნაშავე დურგალი იყო — კოლასათვის თაფლში არეული თამბაქო მიუცია. კოლამ ეს დაიმახსოვრა და აი, გადაუხადა კიდეც სამაგიერო!..

გვიან შემოდგომაზე ჩვენს სოფელში პოლკი დადგა მანევრების ჩასატარებლად. მეფის ოფიცრები ჩვენს სახლებში დაბინავდნენ და ცუდ დღეში ჩაგვაგდეს; გზებზე თავისუფლად ვეღარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავდიოდით; ბოსტნები დაგვიცარიელეს; ბატკნები უგზო-უკვლოდ გვეკარგებოდა; ქალებს ეზოში სარეცხიც კი ვერ გაეფინათ.

ერთ დღეს კოლა და მე ძია გიორგისთან ვიყავით სტუმრად. შინ დაბრუნებისას გზაში ბინდმა მოგვისწრო. უცებ, დავინახე, — ჩემსკენ რამდენიმე კადეტი მოდიოდა. ერთი გარმონზე უკრავდა, სხვები მღეროდნენ. მე გზა არ დავუთმე. კადეტები გარს შემომერტყნენ და გინება დამიწყეს. კოლა ჩამომრჩენოდა. იგი მოსახვევში ხესთან შეჩერებულიყო და ფუღუროში იყურებოდა. უნდოდა გაეგო — მასპინძელი შინ იყო თუ არა. შემდეგ დაიოთხა და ჩვენსკენ წამოვიდა. კადეტებმა ქუდი მომგლიჯეს, თხრილში გადააგდეს და მერე მეც ქუდს თან მიმაყოლეს. კოლამ ყველაფერი დაინახა!

ძალიან კარგი. მეცა მყავდა ჩემი „არმია“. მერე რა, რომ მეფე არ ვიყავი!

— კოლა! — დავუძახე მე და სტვენით ვანიშნე — ეცი-მეთქი.

ოფიცრებმა სიმღერა განაგრძეს და გარმონიც აახმიანეს. უცებ დაკვრა შეწყდა. კოლა უკანა თათებზე აიმართა და ჯარისკაცებისაკენ გაექანა.

თათის ერთი მოქნევით მან ერთ კადეტს ხალათი შემოახია. მეორე მოქნევა და... მეგარმონე თხრილში ეგდო ჩემს გვერდით და ღრიალებდა: — მიწიდან ეშმაკი ამოძვრა და ფიწალი მატაკაო! დანარჩენებმა იფიქრეს: ვაი თუ ჩვენც გვატაკოსო, — და თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ.



მიწაზე დაცემისას გარმონმა ხმა გამოსცა. კოლა დაინტერესდა, გარმონი თათებით აიღო და გაწელა. — გარმონმა საწყლად ამოიკვნესა, კოლამ უფრო დიდზე გაწელა, — კვლავ გაისმა ხმა. კიდევ ერთი გაწევა და — კოლამ გარმონი შუაზე გაფხრიწა. ნაგლეჯები ბევრი აქნია აქეთ-იქით და, ხმა რომ ვეღარ ამოაღებინა, კისერზე შემოიხვია. მე ქუდი ავიღე და თხრილიდან ამოვედი.

შინ ერთად წავედით. მთელი გზა ბილიკებით მივდიოდით.

დილას მთელმა სოფელმა იცოდა ჩვენი თავგადასავალი. ამის შემდეგ ჯარისკაცები ფრთხილობდნენ. ხილს არავინ იპარავდა. პური ისე ცივდებოდა ფურნეში, — დარაჯი არ სჭირდებოდა. კარგა ხნის მერე გავიგე, რომ კოლა ლეგენდად იქცა მეფის არმიაში: „მცხეთაში ისე მოიქეცით, როგორც გაგეხარდებათ, დუშეთშიც, მაგრამ კობიანთკარში კი ფრთხილად იყავით, იქ ისეთი მძვინვარე ხალხია, რომ მხეცები პატარა ბავშვებსაც კი ფინიებივით დასდევენ უკანო“.

კოლა ჩვენი სოფლის გმირი გახდა. ქალები იმდენ თაფლს, ხილს, წაბლს და თეთრ პურს აძლევდნენ, რომ მას ქორწილის გადახდაც კი შეეძლო.

მეზობლები, რომლებიც ადრე საყვედურებით ავსებდნენ მამაჩემს, ახლა კოლასთან მეგობრობით ამაყობდნენ, თავიანთ სტუმრებს აცნობდნენ და სიცილით კვდებოდნენ, როდესაც სტუმრებს შიშს შეამჩნევდნენ.

მანევრები დამთავრდა და ჯარისკაცები წავიდნენ. მაგრამ მშვიდი დღეები მხოლოდ მეორე წლის ზაფხულამდე გაგრძელდა.

...იმ ზაფხულს ორი დაუვიწყარი ამბავი მოხდა: დაიწყო ომი და ჩამოვიდა ცირკი. ცირკი ჩვენთან პირველად იყო. იგი ერთ პაპანაქება დღეს თბილისიდან სამხედრო გზით შემოგრიალდა. ცირკი ვირებშებმული სამი ფორანისაგან შედგებოდა; პირველში მაიმუნები ფუსფუსებდნენ, მეორეში ნუშისთვალება კაცი იჯდა და ბურთებითა და დანებით ჟონგლიორობდა, ბოლო ფორანი ბრეზენტით იყო მოფარდაგებული და ზედ საღებავებით ეწერა „ფრთხილად, ფორანში ლომია!“ მთელი სოფელი სუნთქვაშეკრული შესცქეროდა ბრეზენტიან ფორანს, რომელიც ზანზარითა და ღრიალით არღვევდა სოფლურ მყუდროებას.

ფორანმა რომ გვერდით ჩაგვიარა, კოლამ თავი ასწია, ჰაერი დაყნოსა, დაიმანჭა და გალიის „გამოსაკვლევად“ დააპირა წასვლა, მაგრამ არ გავუშვი — ძალიან მინდოდა კარგად დამეთვალიერებინა ცირკის ბოლო ნაწილი — ორი თხა, სამი ფინია და მტვერში ამოგანგლული კაცი.

ცირკი ნაკადულის მახლობლად, მინდორზე დაბინავდა. წარმოდგენა სამი კაპიკი ღირდა, ლომის ნახვა — ერთი კაპიკი, ღრიალის მოსმენა — კიდევ ერთი კაპიკი. როგორც კი მთელი დასი მოეწყო და წარმოდგენისათვის მოემზადა, კოლამ და მე ბილეთები ავიღეთ.

თავზე ფრთებდამაგრებული ვირები ათამდე ითვლიდნენ და შეკითხვებზე პასუხობდნენ. ძაღლები, რომლებსაც ნაოჭებიანი საყელოები ეკეთათ, გაჭიმულ თოკზე დადიოდნენ. მაიმუნები ლოგინში იწვნენ, „ავადმყოფებს“ სერთუკიანმა ექიმებმა — თხებმა წვერების ცანცარით ჩამოურიგეს წამლები. მაიმუნები მაშინვე „განიკურნენ“ და ათასგვარი ოინი გვიჩვენეს. როცა ყველა ერთდროულად ჩაება საქმეში, მშვენიერი სანახაობა გამოვიდა: ვირები კასრებს აგორებდნენ, ძაღლები ვალსს ცეკვავდნენ, მაიმუნები თხებს ზურგზე მოაჯდნენ და მოედანს შემოურბინეს, გზა-გზა რგოლებში გახდებოდნენ და კვლავ თხების ზურგზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.



ჟონგლიორები დანებს მაღლა ისროდნენ. დანები ჰაერში ტრიალებდნენ და ელავდნენ, შემდეგ წვიმასავით წამოსულ დანებს მოხერხებულად იჭერდნენ.

მეორე დღეს, ალიონზე, მივედი ცირკში. კოლას ხათრით ცირკის პატრონმა, აი, იმ მტვერში ამოგანგლულმა კაცმა, უფლება მომცა, მივხმარებოდი. სამაგიეროდ დამპირდა: უბილეთოდ შეგიშვებო. მე შეშასა და წყალს ვეზიდებოდი, ვირებს ვაურვებდი და ლომს დაშაქრულ რძეში პურს ვუყრიდი. საწყალი უკვე ხანში შესულიყო... ცირკის პატრონმა მითხრა: კბილები ისედაც არა აქვს და რაცა აქვს, ისიც ტკივა, როცა რაიმეს ღეჭავსო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ისე მშვენივრად ღრიალებდა, რომ თმები ყალყზე დაგიდგებოდათ.

— დათვი ძალიან ბევრი მყოლია,— მითხრა ცირკის პატრონმა, — მედათვე ვანო მქვია. ეს პირველადაა, რომ უდათვოდ დავადექი გზას, — მან კოლას თავი მოფხანა და მკითხა — რამდენი წლისააო.

— ექვსის.

— ჭიდაობა ან ცეკვა თუ იცის.

— იცისო?! — გავიოცე მე და კოლას ნიშანი მივეცი. მან ბევრი ნომერი შეასრულა, იცეკვა და ბოლოს კოხტად დაუკრა თავი ცირკის პატრონს.

— სოფელში ტყუილად ცდება ასეთი კარგი დათვი, — თქვა ვანომ, — მოდი, მომყიდე.

— არა.

— კარგ ფულს მოგცემ. რას დააფასებ?

— არაფერს.

— 50 მანეთი?

— არა.

— 100 მანეთი.

— არა.

— კარგი ბიჭი ყოფილხარ. ასეთი ჭკვიანი დათვი ნამდვილად არ შემხვედრია. მე კარგად ვიცნობ დათვებს. გყავდეს, — არა მწყინს. ვერც მე გავიმეტებდი. ოღონდ, თუ ოდესმე შეელევი, თბილისში მომიყვანე, მთავარ პროსპექტზე. შადრევანთან მიკითხე, — და ამაყად დაუმატა, — მე ყველა მიცნობს!

...რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ ჟონგლიორებმა დანები შეინახეს, ვირები შეაბეს და ცირკი ჭრიალით გაუდგა გზას. გორაკზე რომ ავიდნენ, მედათვე ვანო შეჩერდა და გადმომძახა, — არ დაგავიწყდეს, — მთავარი პროსპექტი, შადრევანთან. 150 მანეთს მოგცემ.

150 მანეთი!—ეს მთელი ქონება იყო. მამულს შეიძენდი, ჯარიდან დაიხსნიდი თავს, გლეხი თავადობას იყიდდი, მაგრამ...

ის-ის იყო ცირკი წავიდა, რომ ომიც დაიწყო და, გვინდოდა თუ არა, ყველა ჩაგვითრია. ომმა წაიყვანა გორაზე მცხოვრები მეზობელი, წაიყვანა ჩემი ბიძაშვილი ვარდო, ჯაყელის ქვრივის სამი შვილი. მეორე წელს მამაჩემის ჯერიც დადგა, შემდეგ კი —ჩემიც.

სანამ გონზე მოვიდოდი, უკვე ჯარისკაცი ვიყავი. ხელში ხიშტიანი თოფი მეჭირა და სამხედრო ტანსაცმელი ტომარასავით მეკიდა ტანზე.

კოლა? კოლას რაღა ეშველებოდა? ათ დღეში უნდა დამეტოვებინა სოფელი და ნაწილში გამოვცხადებულიყავი. შემდეგ ცხრა დღე დამრჩა, შემდეგ — რვა, შემდეგ — ექვსი...

სოფელში მხოლოდ ქალები, ბავშვები და ორიოდე ღრმა მოხუცი დარჩა. ვინღა მიხედავდა კოლას? ძალიან არ მინდოდა, მაგრამ იძულებული გავხდი, მედათვე ვანო მომეძებნა.

...თბილისამდე 58 ვერსი იყო. გზაში შევეცადე კოლასათვის ამეხსნა, თუ რა დღეში ვიყავით. ხანდახან ვინმე გლეხი ურემზე შემოგვისვამდა ხოლმე, ხან კი ფეხით მივდიოდით. ღამღამობით, როცა თივის ბულულზე ზვერდი-გვერდ ვიწექით, კოლაზე ვფიქრობდი და თავს იმით ვინუგეშებდი, რომ ვანოს ცხოველები ძალიან ნაპატივები და მხიარულები იყვნენ...

თბილისში ბაზარშიც კი არ შევიარე,— არ დამითვალიერებია ფარდაგებით, მოელვარე სპილენძის ჭურჭლით, ზარნიშიანი ხანჯლებითა და ახალი უნაგირებით გამოტენილი დუქნები, არც იმ გამყიდველებთან შევჩერებულვარ, რომლებსაც თავზე ბროწეულით სავსე თაბახები ადგიათ და ხელში ჩურჩხელები უჭირავთ, — პირდაპირ შადრევნისაკენ გავეშურე.

— ვანო სადა ცხოვრობს, მედათვე? —ვკითხე ერთ ბიჭს.

მან ქუჩის მეორე მხარეს მიმითითა.

კიბეზე ავედი. კოლა ფეხდაფეხ მოსდევდა. კარი თვითონ ვანომ გაგვიღო.

— ოჰ, გამარჯობა! მაშ, ბოლოს გადაწყვიტე არა? შემოდი, ვისაუზმოთ.

მან მჭადის ნატეხი და ხილი დამილაგა წინ. ყველაფერი ორად გავყავი, კოლას თავისი წილი მივეცი. კარგად რომ გეახელით, — კოლას გასაყიდად არ მოვსულვარ-მეთქი— ვუთხარი მედათვეს და ავუხსენი, რაშიც იყო საქმე:

— მინდა, რომ ჩემს ჩამოსვლამდე შემინახო. ვიცი, არ დაჩაგრავ. თავსაც ირჩენს და შენც დაგრჩება რამე. თუ ვერ დავბრუნდი...



ეროვნული ბიბლიოთეკა



— ღმერთმა დაგიფაროს! — თქვა ვანომ და პირჯვარი გადაიწერა.

— თუ ვერ დავბრუნდი, ის 150 მანეთი კოლას მოახმარე. რომ დაბერდება და ცირკისთვის აღარ ივარგებს, სადმე წყნარ ადგილას მიუჩინე ბინა.

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენა გსურს, — მითხრა ვანომ და ხელი მომცა. შემდეგ მაგიდასთან მივიდა, ხელწერილი დაწერა და მომაწოდა.

— ხათრიჯამად იყავი, შვილო. ადამიანებთან იქნებ ცოტა ფიცხი ვიყო, მაგრამ ცხოველისათვის ჩემს დღეში არ მიწყენინებია.

ყველაზე მძიმე წუთები წინ მქონდა, —კოლას უნდა დავმშვიდობებოდი. ვანო ფანჯარასთან მივიდა და შადრევანს დაუწყო თვალიერება. მე კოლას გვერდით მივუჯექი და თავიდან მოვუყევი ყველაფერი. ქაღალდი ვაჩვენე და, თუმცა კითხვა არც ერთმა არ ვიცოდით, მაინც მოგვეფონა გულზე. შემდეგ თათი ვანოს მხარზე დავადებინე,—ამით მივახვედრე, რომ ვანო ჩვენი მეგობარი იყო... ვანომ ჯაჭვი შეაბა ყელზე. მე დავიჩოქე, დრუნჩზე ვაკოცე და კიბეზე ჩავირბინე. უკან მიხედვა მინდოდა, მაგრამ ვეღარ შევძელი...

...ომი იმაზე უარესიც კი აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. ჭუჭყი, შიმშილი, ჯანდაბა და ოხრობა, — ყველაფერი ერთად დაგვატყდა თავს. როდესაც ომზე ვფიქრობ, პირველად ცხენები მახსენდება. ამ წუთში რომ თავაღერილები ამაყად მინავარდობდნენ, მეორე წუთში დაგლეჯილები და დასისხლიანებულები ეყარნენ მიწაზე. რატომ, რისთვის უნდა დახოცილიყვნენ? ჩხუბი მათ არ აუტეხიათ, დიდებასა და სახელს ისინი არ ეძებდნენ და არც ორდენები ესაჭიროებოდათ.

ადამიანებიც არ ვიყავით უკეთეს დღეში...

ოცი თვის შემდეგ ორკვირიანი შვებულება მომცეს. ჩემი პირველი საზრუნავი ბანაობა იყო, მეორე — ტანსაცმლის გამოცვლა, მესამე — კოლას პოვნა და სოფელში წაყვანა.

ვახოსთან ეტლით მივედი. კარებს ბოქლომი ედო და ფანჯრები ფიცრებით იყო აჭედილი. მივხვდი, რომ შინ არავინ იყო. მაინც დავაკაკუნე და ბოქლომი შევაჯანჯღარე...

შადრევანთან ერთ მოხუცს გამოველაპარაკე...

ვანო? კი — ვანოს იცნობდა. ბოლოს ვანოს ჯარში წასვლის რიგიც დამდგარა. ორიოდე თვის წინ წაუყვანიათ. ბებერი ლომი მომკვდარიყო. მაიმუნები ვიღაც ასურელებს წაეყვანათ. დათვი კი, აი, ის გონიერი დათვი (მოხუცს გაეღიმა, — ალბათ, კოლას ოინები გაახსენდა) ვანოს თან წაეყვანა.

ვერც იმ მოხუცმა და ვერც ვანოს მეზობლებმა ვერ მითხრეს, სად იქნებოდა კოლა.

თბილისში ხამად ვიყავი, მაგრამ მაინც ყველგან დავძებნე კოლა — ბაზრებში, ასურელთა უბანში, თეატრებში. ჩემს სოფელშიც ჩავედი — იქნებ რაიმე გაიგეს-მეთქი. მამაჩემი, როგორც მოგახსენეთ, ომში იყო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მეზობლებს ცოდნოდათ კოლას ამბავი. სოფელში არც წერილი დამხვდა და არც რამე ცნობა. ისევ თბილისში დავბრუნდი და დარჩენილი დღეები მოხეტიალე ცირკების დევნაში გავატარე, მაგრამ კოლა არსად ჩანდა.

ჩემი შვებულება დამთავრდა. მოვნახე ის ჯარისკაცები, რომლებიც ჩემთან ერთად უნდა დაბრუნებულიყვნენ ფრონტზე. მათ ეტლი ეშოვნათ და უნდოდათ გამოსათხოვარი ნადიმი მოეწყოთ ერთ პატარა დუქანში, რომელიც ქალაქის მახლობლად, ტყეში იყო ჩადგმული.

— წამოდი, — დამიყვირეს ამხანაგებმა, — დამკვრელებიც იქნება, საცეკვაო მინდორიც და სასმელ-საჭმელიც. ომის დამთავრებამდე, ალბათ, ასეთ პურს ვეღარსად ვჭამთ.

მეც გავყევი, ვიფიქრე — გულს გადავაყოლებ-მეთქი.

დუქანში ტევა არ იყო. ამწვანებული ხის ქვეშ მიგვიყვანეს, მაგიდას ახალი სუფრა გადააფარეს და კალმახი, კიტრები, ყველი და სოკოს მწნილი მოგვიტანეს.

— ღვინო, ღვინოც მოგვიტანე! — მივაძახე მომტანს.

პასუხად ისეთი გამაყრუებელი ღრიალი გაისმა, რომ ყველანი ფეხზე წამოცვივდნენ. შემდეგ ფიცრებისა და აგურების მტვრევის ხმა გავიგონეთ. მზარეული გარეთ გამოვარდა ყვირილით — გაიქეცით, თავს უშველეთო. მზარეულს ვიღაც მოსდევდა. ხალხი აირია. ქალებს გული წაუვიდათ. მე ბუჩქი მეფარებოდა, ამიტომ სკამზე შევდექი და იქაურობა მოვათვალიერე. სანამ თვალით დავინახავდი, გულმა უკვე იცოდა, რაც მოხდა. მაგიდას გადავახტი და ბრბო გავარღვიე.

— კოლა! — შევძახე მე და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ.

როდესაც კოლამ ცოტათი შემიშვა თათები, ირგვლივ მიმოვიხედე: მიკიტანი თოფს გვიმიზნებდა, მას გვერდით მზარეული ედგა, რომელსაც ხელში დიდი დანა ეჭირა. ქალებს თვალებზე ხელი აეფარებინათ და ჰკიოდნენ, — არ უნდოდათ საშინელების დანახვა.

— გთხოვთ, ყველას გთხოვთ, დამშვიდდეთ. ეს ჩემი დათვია და არაფერს დაგიშავებთ. მე დავკარგე, მაგრამ, ხომ ხედავთ, თვითონ მიპოვა. ჩემი ხმა იცნო და აღელდა.

შემდეგ დუქნის პატრონს მივუბრუნდი და ვკითხე, — საიდან მოხვდა ეს დათვი თქვენთან, მე ხომ მედათვე ვანოს მივაბარე-მეთქი.

— ეს ახალგაზრდა ჯარისკაცი მართალია, — ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა მედუქნემ, — დათვი ნამდვილად მაგისია, ოღონდ უბრალო დათვი კი არ გეგონოთ! ეს მე ჩემმა ძმამ — ვანომ მითხრა და მერე ჩემი თვალითაც ვნახე. ვანო რომ ჯარში მიჰყავდათ, ჩემთან მოვიდა და მთხოვა: — სხვა ცხოველები სხვაგან დავაბინავე, ეს დათვი კი შენ უნდა შემინახო, ვიდრე დავბრუნდებოდე, ოღონდ კარგად უნდა მოუაროო...

—დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, მიწა გამისკდეს, თუ გატყუებდეთ, ამ დათვის ანგარიშზე თბილისის სახელმწიფო ბანკში 150 მანეთია ჩარიცხული.

მერე დუქნის პატრონი მე მომიბრუნდა: — ახლა კი, ახალგაზრდავ, ნება მიბოძე, კვლავ ჯაჭვით დავაბა!

— არა, ჩემთან წყნარად იქნება!

მართლაც, არაფერი დაუშავებია. მაგიდასთან ადგილი მოვუნახე. ვჭამდით, ვსვამდით, ვცეკვავდით. კოლა სიხარულით ტიროდა, ზედიზედ გვიჩვენებდა თავის ოინებს და ისე მაგრად მეხვეოდა, რომ ძლივსღა ვითქვამდი სულს.

კოლამ ძალიან ბევრი ჭამა, ღვინოც ბლომად დალია და ბოლოს ჩაიძინა. მძინარე — ჯაჭვით დავაბით.

— კარგად მოუარე, ამბავი მომაწვდინე ხოლმე, ვიდრე დავბრუნდებოდე,— ვუთხარი მედუქნეს და ჩემი მისამართი მივეცი.

მეორე დილით ეშელონს უნდა გავყოლოდი, მაგრამ გულმა არ მიქნა, — მინდოდა ერთხელ კიდევ მენახა კოლა. ეტლი დავიქირავე და იმ დუქანში მივბრუნდი. იქ ერთი აურზაური დამხვდა: მედუქნე წინ და უკან დარბოდა, მზარეული ბუზღუნებდა, მიმტანნი კარებსუკან ეძებდნენ რაღაცას.

— რა ამბავია, რა მოხდა-მეთქი, — ვიკითხე.

იმ დილით, კოლასათვის საჭმელი რომ მიუტანიათ, ბოძი ნაფოტებად ქცეული დახვედრიათ, ჯაჭვი კი —გაწყვეტილი. კოლა გაქცეულა!

— ჩემს მოსაძებნად წამოსულა, — ვთქვი მე. კვალი მოვძებნეთ და გავყევით. ნახევარი ვერსი აღმართ-აღმართ ვიარეთ. შემდეგ უდაბური ტყე იწყებოდა. ყველას ვთხოვე, აქ შეჩერებულიყვნენ. მე წინ წავედი და თან კოლას ვუხმობდი. უკან, კლდეებიდან, რაღაც ხმა მომესმა. შემდეგ თითქოს ხმადაბალი ბურდღუნი გავიგონე.

ვიცანი!

შევჩერდი და კოლას გავძახე:

— კოლა! კოლა! ნუ გამოხვალ, ტყიდან, ნუ გამოხვალ. ისევ შენს ტყეს შეეფარე და შენი თავის ბატონ-პატრონი შენვე იყავი—ეს გერჩივნოს ბორკილებს. მანდ მომიცადე და, ომი რომ დამთავრდება, მოვალ და წაგიყვან. მანდ დაიმალე და მელოდე...

მოვბრუნდი და მარტოდ-მარტო წავედი ქალაქში. ჩემი კოლა კი დღესაც იმ ტყეშია და დღესაც მელოდება.






**ი. გოგებაშვილი** ...რუსულ ენასა ჩვენთვის, ქართველებისათვის, მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს; იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა... მეორედ, იგი კულტურული ენაა... რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა მიუცილებლად უნდა მისდევდეს ქართულ ენას, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულიად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა.

**ვ. გეთე** როცა ოცი წლისა ვიყავი—მწამდა მხოლოდ საკუთარი თავი. ოცდაათი წლის რომ გავხდი, ვფიქრობდი: «მე და მოცარტი». ორმოცი წლის ასაკში მიყვარდა თქმა: «მოცარტი და მე». ახლა კი ვამბობ: «მოცარტი».

**ფ. დოსტოევსკი** თუ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ხშირად შეჩერდები და ქვებს დაუშენ ძაღლებს, რომლებიც გზა-გზა შემოგიყეფენ,—ვერასოდეს ვერ მიაღწევ მიზნამდე.

**კ. მარქსი** ის, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის იღწვის, ვერასოდეს ვერ გახდება ჭეშმარიტად სრულყოფილი და დიადი ადამიანი.

**მ. სერვანტესი** არაფერი ისე იაფი არ გვიჯდება და არაფერი ისე არ ფასდება, როგორც თავაზიანობა.

**დ. შოსტაკოვიჩი** მუსიკის ცოდნა და სიყვარული დედის მუცლიდან თან არავის არ დაჰყვება.

მუსიკა რომ შეგიყვარდეს, ამისათვის საჭიროა ხშირად მოისმინო იგი.

შეიყვარე და შეისწავლე მუსიკის დიადი ხელოვნება, იგი გააფაქიზებს და სრულყოფს შენს სულს.

**ჰ. კოლბასი** ცრუმორწმუნეობის მიზეზი სიმხდალეა, ხოლო სიმხდალის მიზეზი—უმეცრება.



# პარაშუტი გაიშალა

კარლო კობერიძე

გზატკეცილი განზე რჩება,—ბრეზენტით გადახურულმა მანქანამ შარაზე გადაუხვია და გზა განაგრძო. მანქანაში ბიჭები სხედან, დიდი და პატარა ბიჭები. პოლკოვნიკი აკაკი გამრეკელაშვილი ომისდროინდელ ამბავს ჰყვება.

ჯერ დუმილი, მერე... მანქანა სავსეა მოწონების შეძახილებით.

მზიანი დღეა.

უკან რჩება ვიწრო ხევი, მოზრდილი გორა,—იწყება ზვრები. ზვრებში მუშაობაა გაჩაღებული: ითოხნება ვაზის ძირები, იჭიმება მავთულები, იხვნება ბარაქიანი მიწა. აფეთქებული კვირტები მალე ფოთლებად იქცევა; ჯერ კი ყავისფრად მოჩანს გადახნული ვაკე.

მანქანამ სვლას უკლო და გაჩერდა.

— ესეც აეროდრომი.

ორი პატარა შენობა, შენობებს იქით—თვითმფრინავები.

ბიჭები მანქანიდან ჩამოხტნენ. ყველა თავის პარაშუტს ეძებს.

მექანიკოსები თვითმფრინავებს ამოწმებენ; უნდა გაისინჯოს ყველა ნაწილი, შემოწმდეს ყველა ხელსაწყო. ოდნავი უყურადღებობა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

შოთა ტყეშელაშვილს ხელსაწყო უჭირავს.

— ეგ რა არის?—ეკითხებიან ცნობისმოყვარე ბიჭები.

— როგორ გითხრათ... ჩვენებურად „ჯაშუში“ ჰქვია.

— ჯაშუში?!

რა გაგიკვირდათ! ყველაფერს იწერს—რა სიმაღლეზე იფრინე, რა სიჩქარით და რამდენი კილომეტრი გაიარე,—ვერაფერს გამოაპარებ.



ბიჭო, ეს არის მზადყოფნა?

თვითმფრინავისაკენ.



ფოტო
დავით იაკობაშვილისა

ვიდრე პილოტები თვითმფრინავებს ცდიდნენ, ბიჭები ორ-ორ პარაშუტს იმაგრებდნენ, — ერთი სათადარიგო იყო.

გელა კაციტაძე მეთერთმეტეკლასელია, მიხეილ შეკლაშვილი—მეცხრეკლასელი. სხვადასხვა სკოლაში სწავლობენ, ერთმანეთი აეროკლუბში გაიცნეს; დღეს ორივე პირველი ხტომისათვის ემზადება.

მიხეილ შეკლაშვილი მფრინავობაზე ოცნებობს, ამაყობს საბჭოთა კავშირის გმირის—ოთარ ჩეჩელაშვილის ნათესაობით და უნდა მასავით ასახელოს სამშობლო.

მიხეილის მამა ყოფილი ფრონტელია, მფრინავი. მიხეილი მამის კვალს მიჰყვება. მამა კმაყოფილია...

ვიდრე გადმოხტომაზე მიდგებოდეს საქმე, ახალბედები თვეების მანძილზე მეცადინეობენ დახურულ დარბაზში, სწავლობენ პარაშუტის მორგებას, გახსნას, დაკეცვას, თოკებით მიმართულების შეცვლას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კი საჭიროა კარგი ხტომის შესასრულებლად. ბოლოს, როცა კომისია დაადასტურებს ახალბედას მზადყოფნას, — აჰყავთ უღრუბლო ცაში რვაასი მეტრის სიმაღლეზე,—აქედან იწყება პირველი ხტომა.

აეროდრომის ცენტრში კირით შემოხაზული თეთრი წრეა. მისი რადიუსი ორმოცდაათი მეტრია. ცენტრში გაფენილია პარაშუტის წითელი სარჩული. იგი ციდან გარკვევით ჩანს. ვინც მასთან ყველაზე ახლოს დაეშვება,—გამარჯვებულიც ის არის.

თვითმფრინავები სტარტზე დგანან. მოტორები გამორთულია. პარაშუტისტები ჩამწკრივდნენ. პოლკოვნიკი სიას კითხულობს, მერე უკანასკნელ დარიგებას იძლევა:

— არ აღელდეთ, იმოქმედეთ წყნარად, საზრიანად.

და მერე: —აუშვით მოტორები!— ბრძანა პოლკოვნიკმა.

ბიჭებს სახეში სცემთ პროპელერის ქარი,



გადმოხტომის წინ.



აუჰ, რა სიმაღლეზე ვარ!

იღება კაბინა, მერე იკეტება. პოლკოვნიკი აფრენის ნიშანს იძლევა. თვითმფრინავი მიწას სწყდება.

გელა და მიხეილი თავაწეული დგანან,—თვითმფრინავებს ასცქერიან. მალე მათი ჯერიც დადგება.

ახალგაზრდა ექიმი მწვანე ბალახზე წამოწოლილა და წიგნს კითხულობს. ბიჭები რაღაცას ეკითხებიან, ისიც თავს ასწევს ხოლმე და ღიმილით პასუხობს.

— ასეა, ექიმო,—ეუბნება მიხეილი,—დილით ჩაჯდებით მანქანაში, მოხვალთ აეროდრომზე და წიგნს კითხულობთ. საღამოს ჩაჯდებით და წახვალთ,—ვითომ წიგნის კითხვა შინ არ შეიძლებოდეს!

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე უსაქმო ვარ, ხომ? მერედა, გინდათ, საქმე გამიჩნდეს?

ბიჭები სდუმან.

მართლაც და, ექიმს ჯერ არ გაუხსნია მედიკამენტების ჩანთა.

ამასობაში პარაშუტები მიწას უახლოვდებიან. ბიჭები მანძილის გასაზომად გარბიან.

— ჩაწერე!—ისმის შეძახილები,— ცენტრიდან ხუთი მეტრი... ცენტრიდან რვა მეტრი... ცენტრიდან, უჰ!— სამოცი მეტრი...

ძირსდაშვებულნი სათადარიგო პარაშუტებს იხსნიან, გაშლილს კეცავენ, იხდიან მუზარადებს... ექიმი კი კვლავ წიგნს კითხულობს.

თვითმფრინავები ძირს ეშვებიან. კაბინაში პოლკოვნიკი ჯდება და სხვებთან ერთად მიხეილ შეკლაშვილიც აჰყავს ჰაერში. ვინც უკვე გადმოხტა,—დგას და ცას ასცქერის. ყოფილა შემთხვევა: მიწაზე, დარბაზში ვარჯიშის დროს მარჯვეს, იქ, ცაში, თვითმფრინავიდან გადმოხტომა-



სანამ პარაშუტი გაიშლებოდეს.

ზე უარი უთქვამს. ხომ შეიძლება ახლაც ასე მოხდეს? ვინ იცის...

თვითმფრინავები ცას გაეკრნენ. საგრძნობლად იკლო მოტორების ხმამ. ძირს დარჩენილებს აერიათ,— აღარ იციან ვინ რომელ თვითმფრინავში ზის. ზედიზედ იშლება პარაშუტები, ფარფატით ეშვებიან ძირს.

— ყოჩაღ, ზურაბ ლობჟანიძე!— ამბობს აღტაცებული მექანიკოსი,— პირდაპირ ცენტრში ეშვება!

მართლაც, ერთ-ერთი პარაშუტისტი შიგ წრეში დაეშვა. ბიჭები მისკენ გარბიან.—ზურაბი კი არა, მიხეილია!—შესძახეს მათ და მეგობარს პირველი წარმატება მიულოცეს.

მიხეილი სიხარულისაგან დაბნეულია.

— ოო, როგორ გაეხარდებათ ჩვენებს!.. მალე წავალთ?

შოფერი იცინის:

— პოლკოვნიკს ჰკითხე.

მიხეილი ხელებს შლის და ზეცას ასძახის:

— ეჰეი, ძია პოლკოვნიკო!

— ძია აკაკი-თქვა! — უსწორებს ექიმი.

პოლკოვნიკი ჰაერშია. ის ჯერ გაწოლილი ეშვება, მერე ენერგიულ ბრუნს აკეთებს და ზუსტად ორმოცი წამის შემდეგ ხსნის პარაშუტს...

პოლკოვნიკი სპორტის ოსტატია. საპარაშუტო სპორტის მოყვარულნი და სპეციალისტები კარგად იცნობენ მას: 1944 წელს საოცარი რეკორდი დაამყარა,—9 საათსა და 40 წუთში 94-ჯერ გადმოხტა...

კაპიტაძეს ლობჟანიძე გაჰყვება,— ბრძანა მეთაურმა.

ლობჟანიძე კაპიტაძის მასწავლებელია.

პოლკოვნიკი მიხეილს მიუბრუნდა:

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ!

ცოტა ხნის მერე ისევ იშლება პარაშუტი. ახლა კაპიტაძე ეშვება ძირს. იგი წრიდან კარგა მოშორებით შეეხო მიწას.

— მერე რა, ეს ხომ პირველი ხტომაა,—საწვრთნელი ხტომა!—ამხნევებენ მას.

ჯერი გელაზე მიდგა. გადმოხტა და მიწაზე დაშვებისას სწორი მოძრაობა ვერ გააკეთა,—წაიქცა. სიცილი წასკდა. სხვები ხარხარებენ.

— იტკინე რამე?—ჰკითხა ექიმმა.

— მაგას როგორ გაამხელს,—იღიმება მეთაური,—მე რომ პირველად გადმოვხტი, ფეხი მეღრძო, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს...

მოსაღამოვდა.

ყველანი მანქანაში სხდებიან და თბილისისაკენ იღებენ გეზს.

— საპარაშუტო სპორტი სიმამაცის, გამბედაობის სკოლაა,—განაგრძო დილანდელი საუბარი პოლკოვნიკმა.—ზღვის დონიდან რაც უფრო მაღლაა აეროდრომი, მით უფრო ძნელდება ხტომა. ეს იმიტომ რომ, ხტომის სიმაღლეს ემატება ზღვის დონიდან აეროდრომის მდებარეობის სიმაღლე. სიმაღლის მატებასთან ერთად კი თანდათან იშვიათდება ჰაერი და მატულობს ადამიანის შინაგანი წნევა. ეს მე თვითონ გამოვცადე. საბრძოლო დავალება უნდა შეგვესრულებინა,—მტერს ზურგში უნდა მოვქცეოდით. დავიწყეთ ვარჯიში სამხრეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი რაიონის აეროდრომზე. ხტომების შემდეგ ექიმი ერთსა და იგივეს გვეკითხებოდა,—თავი ხომ არ გეტკინათო. ჯერ ვმალავდით, ბოლოს ვაღიარეთ:—ყველას გვტკიოდა თავი.

— მე ყურები მიწივის,—გამოტყდა გელა.

— მეც,—თქვა მიხეილმა.

ყველა გულიანად იცინის.

— ჰოდა, ასე,—განაგრძობს მეთაური,—სიმართლე ყველაფერს ჯობია...

აეროდრომი უკან რჩება. ჩაუარეს ზვრებს, მოზრდილ გორას, ვიწრო ხევს და იწყება ცენტრალური გზატკეცილი...

პარაშუტისტები ყოველ მეორე დღეს ისვენებენ. ახალგაზრდებს უსასრულოდ გრძლად ეჩვენებათ ეს დრო.

— როდის გავა ხვალინდელი დღე?



ბიჭოს, მეც ამ სიმაღლიდან გადმოვხტი?



### გიორგი შაჭბერაშვილი

# მზე, მთვარე და ქარი



*ნათელმა მთვარემა ბრძანა,*
*ბევრით მე ვჯობივარ მზესა...*

ხალხური

ნახატები თენგიზ სამსონაძისა

ერთხელ თურმე, უხსოვარ დროს,
ბადრი მთვარე გადიდგულდა,
არ დასჯერდა სამთვარიოს,
სამზეოში შესვლა სურდა;
გაივსო და გაიბღინძა,
შემოივლო ცეცხლის შუქი,
დააშინა ვარსკვლავები
ტრაბახით და ბაქიბუქით.
დაიბარა სწრაფი ქარი:
„მზესთან მიდი ამ ბარათით,
დინჯად იყავ, არ დაუწყო
მას ზედმეტი ლაპარაკი...
გაფრინდი და მიუტანე,
არვინა მყავს შენზე ჩქარი,
დე, იცოდეს,—ომს ვუცხადებ,
შეყრილი მყავს უკვე ჯარი!“
ცახცახებენ ვარსკვლავები,
კრინტის დაძვრას ვერვინ ბედავს.
ჩაიცინებს ჩუმად ქარი,
თავს ასწევს და გზას გახედავს.
მთვარეს თვალს ვერ გაუსწორებს,
სიტყვას ამბობს მორიდებით:
„ნუ ინებებთ სისხლის დაღვრას,
უომრადაც მორიგდებით“.
გაჯავრდება ბადრი მთვარე,
შეირყევა რისხვით ტახტი,
ქარს დატუქსავს განრისხებით,
ზურგს აუწევს ელვის ლახტით.
შავ ღრუბლებში მინაბულებს—
ვარსკვლავთ სუნთქვაც ემძიმებათ...
სწრაფად მიჰქრის მზისკენ ქარი
და თან გულში ეცინება:
„რის იმედით, რომელ ჯარით!
იქნებ სჯერა ფუყე ღრუბლის,
ვარსკვლავებით მოაქვს თავი,
თუ ბნელეთის შავი შუბლით?
იქნებ ჩემი იმედი აქვს?—
ჩაიცინებს ენამწარე:—
შენა მხარეს გაგზავნილი,—
წამს გავჩნდები ქვენა მხარეს!
მიჰქრის, მიჰქრის მზისკენ ქარი
და სამზეოც ახლოვდება,
დაბრუნებას აღარ ფიქრობს,
თან ჩურჩულებს: „რა მოხდება?“
ჰა, საზღვარიც... გული უცემს,
სული უწუხს ცბიერ დესპანს,
შეჩერდება: ეს რა ხმაა,
რა ძახილი შემოესმა?
მუქარით და განრისხებით
წინ გადუდგნენ დარაჯები,
მაგრამ იცნეს ბარათით და
მთვარის ელჩის ყავარჯენით...
გზა დაუთმეს, გააცილეს.
მიგრიალებს, მიჰქრის ქარი.
გაბრწყინდა და გამოშუქდა
სამზეოდან მზის პიშკარი.
ზის სამზეოს მბრძანებელი
გაშუქებულ სამზეოში,
თავზე დასდის ოქროს წვიმა,
ფეხთ აცვია ოქროს ქოში.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სალამაზოდ, საჩრდილობლად
თავზე ადგას ცისარტყელა,
მზეს შესცინის, გაუღიმებს,
აშუქებს და თვითაც ელავს...
წელში ტყდება, შფოთავს ქარი
მუხლმოდრეკით მზის წინ მდგარი,
იცის, მეფის სურვილს მოსდევს
ხან დარი და ხან ავდარი.
ჰკადრებს: „მზეო, გაგიბედავ,
მოხიბლული თქვენი მზერით—
აქ სამოყვროდ არ მოვსულვარ,
თუმც არა ვარ თქვენი მტერი.
ჰა, ბარათი წაიკითხე,
რას გიბედავს ბადრი მთვარე,
ჩამქრალი და უსიცოცხლო,
თვალმიბჟუტვით ტახტს მჯდომარე.
დავუშალე, არ მიჯერებს,
ლაზტით ცემა არ მაკმარა...
ნუ შემრისხავ, ქვეყნად დავქრი
ჩემი ფრთების ანაბარა!“
იგრიხება, კვნესის ქარი,
გაოცებულ მზის წინ მდგარი,
იცის, მეფის სურვილს მისდევს
ხან დარი და ხან ავდარი.
ყავარჯენზე ჩამოუცვამს
მოკრძალებით ჭრელი ქუდი,
სახეს ღიმი დასთამაშებს,
უცახცახებს გრძელი კუდი.
დღის მნათობი მთვარის უსტარს
ჩაიკითხავს ჩაღიმებით...
მზის წინ დგანან დიდებულნი,
კრძალვით სხივებდახრილები.
მერე იტყვის: „აბა, ქარო,
რომ გაგიწყრე, შენ რას გერჩი,
შუამავლად წამოსულხარ
სამზეოში მთვარის ელჩი;
ავი საქმე უფიქრია
მბრძანებლს და ბატონს შენსას,
განუზრახავს სისხლის დაღვრა,
ვაება და ხალხის კვნესა.
მე მზადა ვარ...
ჩემი ჯარი
ვაჟკაცურად მტერს მოელის,
გაიმარჯვებს მზის ქვეყანა,
დამარცხდება, ვიცი, ბნელი!“—
სთქვა და სწრაფად აელვარდა
მის წინ სარკე საოცარი,
მორიდებით ჩაიხედავს
იმ სარკეში ფრთხილი ქარი...
ხედავს, დაფით და ნაღარით
მოჰქრის ჯარი მთვარის ქვეყნით,
წინ მოუძღვის თვითონ მთვარე,
შუბლშეკვრით და განრისხებით.
გადამჯდარი შავ ღრუბელზე,
აბრიალებს ელამ თვალებს,
ფერმილევით მოჩანჩალეს,—
შემკრთალ ცისკარს უთვალთვალებს.
წინ მიუძღვის ღამის ელვა,
იქუხებს და ცეცხლს აკვესებს,
სამზ ეოში შეიჭრება,
საზღვრის მცველებსააკვნესებს.
სახტად რჩება, შფოთავს ქარი,
თან საშინელ სურათს უმზერს,
მზე კი, დინჯი, სხივმოსილი,
იღიმება მტრის გუგუნზე.
გაიჭრება ცის ლაჟვარდზე,
თავის ლაშქარს გადაჰკივლებს,
ხელთ უპყრია ცეცხლის ფარი,
ცეცხლის ხმალზე ხელს გაივლებს,
მიდის, ჯარიც უკან მისდევს,
ფეხაწყობით, მორჩილებით,
შორით უმზერს ფლიდი ქარი,
თვალზე ხელის მოჩრდილებით...
თან ჩურჩულებს: „ფრთხილად, ქარო,
ფრთხილად, ქარო, იყავ მარჯვედ,
ის შეამკე, ის ადიდე,
ვინც ბრძოლაში გაიმარჯვებს!“
მზე მაღლიდან უცქერს ბრძოლას
და გადამწყვეტ წუთებს ელის;
ჰა, გაჭირდა, ლამის ნათელს
მოერიოს ძალა ბნელი!
მაშინ კი მზე, გულმოსული,
მტრის ხმაურზე, მტრის ყიჟინზე,
თვითონ გადის ბრძოლის ველზე,
ძლიერ გულმკერდს გაიშიშვლებს,
ამოაფრქვევს პირით ხანძარს,
თვალით ისვრის ელვის სვეტებს,
მტრისკენ სტყორცნის ცეცხლის ენებს,
მთვარის ლაშქარს დააფეთებს.
ზის მაღლობზე, უმზერს ქარი,
ოფლს იწმენდს და ჭკუას იკრებს,
ხედავს მთვარის დამარცხებას



და იხრება ისევ მზისკენ.
ხოლო მთვარე, ბადრი მთვარე,
უსხივო და თეთრი ფერის,
მზის წინ დგება თავდახრილი
და განაჩენს უხმოდ ელის...
დგას მზე, ბრძოლით მოქანცული,
დიდებულთა ისმენს რჩევას,
გადახედავს თავის ლაშქარს,
მიულოცავს გამარჯვებას.
მხარს უმშვენებს ცისარტყელა,—
ზეცის ნაზი დედოფალი,
მზის სხივების ტკბილი დედა
და სამზეო ქვეყნის თვალი...
დინჯად იტყვის: „რადგან მტერმა
არ გვაცალა მოსვენება,
მე ვბრძანებ და ჩემი ქვეყნის
გამომჟღავნდეს ამით ნება—
აეკრძალოს წვრილ ვარსკვლავებს



ბადრი მთვარის სამსახური,
თითო წკეპლა მიაყოლეთ,
აუწიეთ ყველას ყური!
მათ უფროს დას—ლამაზ ცისკარს—
სხვა სასჯელი გაუმზადეთ:
ჰკათ პანღური, უდროო დროს
ხეტიალი აუკრძალეთ!

ნუ დაზოგავთ ბებერ ღრუბლებს,—
მათ აქვთ ძალა საშინელი,
ისეთი დღე დააყენეთ,—
დასდიოდეთ მუდამ ცრემლი!
დამიჯერეთ, რადგან მთვარის
მორჯულება არ იქნება,
რა წამს შურით გადიდგულდეს,
გაიბღინძოს, იწყოს ვსება—
რომ სამზეოს ტურფა მხარეს
არ მიადგეს მისგან ვნება,—
დღეის იქით დაებედოს:
დამცირდეს და იწყოს კლება,
გახდეს, ჯავრით დაილიოს,
და შემბრალე არვინ ჰყავდეს,
ცეროდენა ბიჭუნების
სათამაშო ნამგალს გავდეს!“
დგას სამზეოს მბრძანებელი,
იღიმება, არ იჩქარის—
მან ხომ კარგად გაიგონა,
რას ამბობდა გულში ქარი?..
მკაცრად ბრძანებს:—დაინახეთ
მთვარის ელჩის გრძელი კუდი,—
კუდზეც თავი გამობმია,
მიტომ ჰხურავს ორი ქუდი.
გასტერით და გადააგდეთ,
ერთი იქცეს ქვენა ქარად,
კაცი ქვეყნად იმას ჰქვია,
ვინც ერთ სიტყვას მისდევს მარად...
ერთი იქცეს ქვენა ქარად
და მეორე—ზენა ქარად!“
მუხლს იყრის და ევედრება,
პატიებას შესთხოვს ქარი,
მაგრამ მის წინ იხურება
სხივმოსილი მზის ჭიშკარი.
გაბრწყინებულ ცის დარბაზში,
მშვიდობის და ცეცხლის დროშით,
მიჰქრის დიდი მბრძანებელი,
დგას ლაჟვარდზე ოქროს ქოშით,
ჟღერს მარადი სიხარული
თავისუფალ სამზეოში!





სოფელია, ქალაქია, მდინარეა, ქუჩაა...—ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია;

ქუჩების უმრავლესობას ადამიანთა გვარებს ვეძახით.

არიან ქუჩები, რომლებიც თავიანთი უცნაური სახელწოდებით იპყრობენ ჩვენს ყურადღებას.

არა ერთხელ დავუფიქრებივართ ამა თუ იმ მდინარის, ქალაქისა და სოფლის სახელსაც.

ვინ არიან ის ადამიანები, რომელთა გვარებსაც ქუჩებს ვეძახით?!

საიდან წარმოსდგა ზოგიერთი ქუჩის უცნაური სახელწოდება?!

რატომ დაერქვა ამა თუ იმ ადგილს ესა თუ ის სახელი?!

გაინტერესებთ ხომ?!—

მოგვისმინეთ:

**ბზიფი** (ბზიბი)—აფხაზეთის მდინარე. ეს სახელწოდება წარმოსდგა მცენარის სახელიდან—**ბზა** (მრავლობითში: **ბზები**). ბზიფის ხეობა განთქმულია ბზის ტყეებით.

**ფოთი**—ჩვენი რესპუბლიკის ქალაქი-ნავსადგური. მას შორეულ წარსულში ერქვა **ფასისი** [ამ ქალაქთან ერთვის შავ ზღვას მდინარე **ფაზისი** (ფასისი) — დღევანდელი რიონი]. სახელწოდებამ **ფასისი** ასეთი ცვლილება განიცადა: **ფასისი—ფასთი** (ფას-თი) **ფოსთი—ფოძთი**, აქედან,— ქალაქის ახლანდელი სახელი **ფოთი.**

**სოჭი**—ქალაქი-კურორტი. ამ ქალაქის სახელწოდება წარმოსდგა ხის სახელიდან—**სოჭი.**

**ბიჭვინთა**—ეს სახელწოდება დაკავშირებულია ხის სახელთან—**ფიჭვი.** ამ ხეს უძველეს დროში ერქვა არა **ფიჭვი**, არამედ **ბიჭვი.**

ბიჭვინთაში საქვეყნოდ განთქმული ფიჭვის ტყეა.



**ბავშვებო, თქვენ ხშირად გვიგზავნით საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა დიდი უმრავლესობა ლექსებია. გვთხოვთ, მიგითითოთ ამ ლექსების ღირსებასა და ნაკლზე, გირჩიოთ „როგორ დაწეროთ უფრო უკეთესი ლექსები“, აგიხსნათ საერთოდ მხატვრული შემოქმედების თავისებურება.**

**ვასრულებთ თქვენს თხოვნას.**

**გესაუბრებათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი ფილიპე ბზრიძე.**

# ლექსი დ

**„თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თავის დროზე გამოიხეთქება, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა, ოღონდ პირველხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს მეცნიერების ნოყიერს ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე“,** — ასე მიმართა დიდმა ილიამ „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ 1886 წელს.

ბევრი თქვენგანი წერს ლექსს. უფროსები გიწონებენ, გაქებენ და ტაშითაც გაჯილდოებენ. ნამდვილად რომ მისასალმებელია სკოლის მერხზე გაღვიძებული მხატვრული შემოქმედების ნიჭი, მაგრამ ვერც იმას დაგიმალავთ, რომ ძალიან ძნელია გახდე პოეტი.

— როგორ, — იკითხავთ თქვენ, — პოეტი ხომ იმას ჰქვია, ვინც ლექსს წერს? საქმეც იმაშია, რომ ეს ასე არ არის, — ლექსის წერა თითქმის ყველას შეუძლია, ვისაც მხატვრული ლიტერატურა უყვარს.

...ვთქვათ, რომელიმე თქვენგანი ლექსს წერს აღელვებულ ზღვაზე, სურს — გადმოსცეს ზღვის ღელვის სურათი, იმ ადამიანების შიში, რომლებიც ამ დროს ზღვაში არიან; წერს, რომ ასეთი ღელვა ჯერ არ უნახავს, უზარმაზარი ტალღები ეხეთქება ნაპირს, ადამიანებს დაღუპვისა ეშინიათ... ლექსს აქვს რითმაც და რიტმიც. რატომ არ შეიძლება ამ ნაწარმოებს ლექსი ვუწოდოთ? აი, რატომ: მისმა ავტორმა ამ თემაზე სხვადასხვა პოეტის ლექსები იცოდა, ზოგი რამ უფროსებისაგანაც სმენია ზღვის ღელვაზე, მეზღვაურებზე, გემებზე და, საერთოდ, ზღვაზე. გაიხსენა სხვისი სტრიქონები, ზოგი შეაბრუნა, ზოგი შემოაბრუნა, ზოგი შეუცვლელად, პირდაპირ გადმოიღო და დაწერა ლექსი. ცხადია, ამ ლექსში ავტორის საკუთარი გრძნობა, ფაქტის უშუალო განცდა არ ჩანს. სიტყვიერი მასალაც, რიტმიც და რითმაც სხვისია. ესე იგი ავტორი ეცადა, თავისი ლექსი როგორმე მიემსგავსებია საერთოდ ლექსისათვის და სხვისი შთაბეჭდილებებიდან მიღებული შთაბეჭდილება მექანიკურად გაეფორმა სხვისივე რიტმით, რითმით და სიტყვიერი მასალით.

ახლა მოუსმინეთ თქვენს საყვარელ პოეტს **გალაკტიონ ტაბიძეს:**

უსაზღვრო არის
ზღვის ბრაზი და თავგამეტება,
შორეულ მანძილს
გადამტეხი მეხი ედება.
დაუცხრომელი, შემზარავი
ისმის სახეთა მოღრუბლვაში,
ისმის სახეთა მოღრუბვლაში,
გემთა კანკალში.

აქაც იგივე სურათია — აღელვებული ზღვა, უბედურების მოლოდინი და ადამიანების შიში. ბევრიც რომ ეცადოთ, ვერც ერთი პოეტის ლექსში ვერ იპოვით ამის მსგავს ნათქვამს. ავტორმა პირადად განიცადა ფაქტი და პოეტური ნიჭის წყალობით მკითხველსაც დამაჯერებლად განაცდევინა. ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ამ თემაზე სხვანაირად არ შეიძლება დაიწეროს კარგად და პოეტურად, პირიქით, ბევრნაირადაც შეიძლება;

ზღვა გავიდა მაღლარზე,
ცას გაეფხვნა შხაპითა;
დააბინდა მაღლა მზე
და მიწაზეც დაბინდდა.

შეჰკრა კუპრის სარტყელით,
სჭექდა შემოკივილით;
ზვირთი ზვირთში დათხრილი
ინჩქრეოდა ტკივილით!






ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰგავდა შურისძიებას,
ზღვა არ იყო ჭკუაზე;
თითქოს იგი მიებათ
დამფრთხალ ცხენის ძუაზე

გიორგი ლეონიძე

როგორც ხედავთ, ორმა პოეტმა ერთი და იგივე ზღვა სხვადასხვაგვარად განიცადა, სხვადასხვა სიტყვებით აღწერა ერთი და იგივე სურათი, მაგრამ ჩვენ ორივე ლექსში ცხადად ვხედავთ ზღვის ღელვას.

ისე არ გაიგოთ, თითქოს ნამდვილი ლექსის შესაქმნელად საკმარისი იყოს მხოლოდ პირადი დაკვირვება. რა თქმა უნდა, მხატვრული ნიჭის გარეშე ვერაფერს ვერ შექმნით მნიშვნელოვანს, მაგრამ მასთან ერთად საჭიროა და აუცილებელია ცხოვრების ცოდნა, განათლება, დიდი შრომა. აი, როგორ გაფრთხილებთ ილია ჭავჭავაძე:

**„მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება. თუ ესე ითქმის: ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჰკნება, თავის სურნელებას ჰკარგავს, თუ**

# ა პოეტი

**მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არ ჰფურჩქნის“.**

თქვენს ლექსს მხოლოდ მაშინ ექნება ფასი, თუ მას თქვენი საკუთარი ხელი ატყვია. მასში უნდა ჩანდეს თქვენი საკუთარი აზრი და დაკვირვება. თუ თქვენ ზამთარზე დაწერილ ლექსში იტყვით, რომ ფიფქები ცვივა, არემარე თეთრად ქათქათებს, ყინავს, ბავშვები ციგაობენ, ამით ვერავის ვერ დააინტერესებთ. ეს ხომ ათასჯერ არის ნათქვამი და უთქვენოდაც ხომ ყველა გრძნობს, რომ ზამთარში ცივა და ყინავს.

საგანს ან მოვლენას, რომელზეც თქვენ წერთ, ყოველთვის უნდა მოუნახოთ ისეთი ნიშანი, ისეთი თვისება, რაც თქვენამდე არავის შეუმჩნევია, რასაც ჩვეულებრივი თვალი, ესე იგი ის, ვისაც მხატვრული შემოქმედებისაკენ არ აქვს მიდრეკილება, ვერ დაინახავს. როგორც ხედავთ, პირველ რიგში საჭიროა — საფუძვლიანად იცოდეთ ის თემა, რომელზეც დაწერას აპირებთ.

წიგნის კითხვით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა არ უნდა შეგვაცდინოთ. კარგი ნაწარმოები შეიძლება დაწეროთ იმაზე, რაც იცით, რაც თქვენი თვალით გინახავთ და განგიცდიათ.

ერთხელ ერთ დიდ მწერალს ახალგაზრდა ავტორმა თავისი მოთხრობა მიუტანა წასაკითხად. მოთხრობაში ლაპარაკი იყო თავის ტკივილზე. მწერალი ავტორს შეეკითხა — ასტკივებია თუ არა ოდესმე თავი. არ მახსოვს — უპასუხა მან.

— როცა თავი აგტკივდება, მაშინ დაწერე თავის ტკივილზე, — ურჩია მწერალმა.

ზოგიერთი თქვენგანი ფიქრობს: თუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე არ ისწავლა, ისე ვერ გაჰყვება მხატვრული შემოქმედების გზას. გაიხსენეთ დიდი მწერლების ბიოგრაფიები; ზოგიერთი მწერალი პროფესიით ექიმი იყო, ზოგი—ინჟინერი, ზოგი—მათემატიკოსი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი, გეოლოგი... მათთვის სხვა პროფესიას მწერლობაში ხელი არ შეუშლია. დიდი რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ანტონ ჩეხოვს სამედიცინო განათლება ჰქონდა, შიო არაგვისპირელი ვეტექიმი იყო; თქვენ კი მათ იცნობთ, როგორც მხატვრული სიტყვის გამოჩენილ ოსტატებს.

თუ გინდათ თქვენი ნიჭის ერთგული იყოთ, მკაცრად მოთხოვეთ თქვენს თავს. ვერასოდეს ვერ გაიზრდებით, როგორც შემოქმედი, თუ დღევანდელთან შედარებით ხვალ უკეთესს არ დაწერთ. რით შეიძლება მიაღწიოთ ამას? უპირველეს ყოვლისა, ზედმიწევნით უნდა დაეუფლოთ მშობლიურ ენას, ღრმად უნდა შეისწავლოთ ყველაფერი ის, რაც კაცობრიობას შეუქმნია. ახლის გაკეთება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ძალიან კარგად იცის ახალიც და ძველიც. იკითხეთ რაც შეიძლება ბევრი და დაკვირვებით. შეეჩვიეთ დამოუკიდებელ, სხვისგან განსხვავებულ აზროვნებას. კარგი ნაწარმოების გამოქვეყნებას ყოველთვის მოესწრებით. დაბეჭდვით ნაადრევად დაინტერესება ყველაფერზე უფრო მეტად შეგიშლით ხელს მუშაობაში. დარწმუნებული იყავით, რომ კარგი მხატვრული ნაწარმოები არასოდეს არ დაკარგულა და არც დაიკარგება.



ნახატი—ხუმრობა ჩეხოსლოვაკიურ საბავშვო ჟურნალიდან „ოგნიჩეკ“.



8

# პიონერი

ფოტო დავით იაკობაშვილისა



7





4



9



2









დასაბეჭდად გამზადებული ტექსტები, ფოტოებთან და ილუსტრაციებთან ერთად, სტამბაში მოვიდა. ტექსტი საამწყობო საამქროს გადაეცა, ფოტოები და ილუსტრაციები — ფოტოსაამქროს.

ასოთამწყობი თამარ პოპიაშვილი ლინოტიპის მანქანაზე აწყობს ტექსტს (ფოტო 1). აწყობილი ტექსტი რუსუდან გურგენიშვილთან მიდის. იგი რედაქციაში გამზადებული მაკეტის მიხედვით აკაბადონებს ჟურხალს (ფოტო 2). ილუსტრაციები ფირზე გადააქვს გიორგი ერმიშიანს (ფოტო 3). ფირებს ასვირინგებს (რეტუშს უკეთებს) თენგიზ ლობჟანიძე (ფოტო 4). დაკაბადონებულ გვერდებს ცელოფანზე ალბეჭდავს ოსტატი ლ. პეტრუშინი (ფოტო 5). წინასწარ გამზადებული მაკეტის მიხედვით მონტაჟს აკეთებს მზია ბალანჩივაძე (ფოტო 6). დამონტაჟებული ფორმები ღრმა ბეჭდვის საამქროში იგზავნება და ახლა გალვანისტები სერგო მამაკაიშვილი და სერგო ხალიპოვი აგრძელებენ საქმეს (ფოტო 7). მურად გასანოვს პიგმენტის ქაღალდზე გადააქვს ანაბეჭდები (ფოტო 8). სპილენძის ვეება „ბარაბანი“, ზედ ალბეჭდილი ტექსტითა და სურათებით, საბეჭდ მანქანაზე მაგრდება; ტიტე კერესელიძე და ვალოდია ჯალიაშვილი ბეჭდავენ ჟურნალს (ფოტო 9). ჟურნალი თავის საბოლოო სახეს საამკინძაო საამქროში იღებს (ფოტო 10). აკინძული ჟურნალი სტამბიდან გააქვთ და... აი, ახლა შენ კითხულობ მას.







# ტრაგედია

ანატოლი დნეპროვი

## მოთხრობა*

ჩემი სიტყვები თითქოს არც გაუგონიაო — პროფესორი მაგიდასთან მივიდა და ტოპრაკი გახსნა. „ნადავლი“ ფხვიერ მასად ქცეულიყო. გრძელი, მოქნილი თითებით მოსინჯა მოყვითალო-რუხი ფხვნილი. შედარებით მსხვილ კოშტებს ცალკე გამოჰყოფდა, წვრილებს კი — ცალკე.

დეშლენი ისეთი გულმოდგინებით აკეთებდა ამას, თითქოს ოქროსმაძიებელი სილაში ოქროს ეძებსო. ნაფხვენში ერთი მოზრდილი ძვალი ერია. პროფესორმა იგი ხელში აიღო, დიდხანს ათვალიერა გამადიდებელი შუშით და თქვა:

— გილოცავთ, მეგობარო! თქვენ მოიტანეთ ფარაონის ხერხემლის მეშვიდე მალა. იგი კარგადაა შენახული. სწორედ მასზე უნდა ჩავატაროთ ჩვენი ცდები.

დეშლენმა ძვალი ფრთხილად ამოავლო დისტილირებულ წყალში, მერე ჩადო ქილაში, რომელშიც ლიმონის სუსტი მჟავა ესხა. ცოტა ხნის შემდეგ ტუტის ხსნარში გადაიტანა. ხსნარს მინის წკირით მოურია, მერე თითით ჟოკლი იხმო და — მოურიეო — უთხრა, თვითონ კი ბოლთის ცემა დაიწყო. ჩვენ უხმოდ ვისხედით და თვალს არ ვაშორებდით მის მოძრაობას. დეშლენი დრო და დრო ქილასთან მივიდოდა, დახედავდა და ისევ უკან გამობრუნდებოდა. მერე ხელები მოიფშვნიტა და ღიმილით თქვა:

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, როცა ძვალს ზედა დამცველ ფენას გადავაცლით, მივაგნებთ მარცვალს, რომელმაც ყლორტები უნდა იყაროს!

დეშლენი თანდათან ასუსტებდა ტუტის ხსნარს და აქვეითებდა ტემპერატურას. ეს პროცესი რამდენიმე დღეს გაგრძელდა.

ამასობაში დიდი დარბაზი ავავსეთ სითხის სახდელი ხელსაწყოებით, მაცივრებით და სხვა მოწყობილობებით, ჩემმა მეუღლემ ერთ მაგიდაზე დაალაგა შუშები, რომლებშიც მოთავსებული იყო დეშლენის რეცეპტით დამზადებული ამინომჟავები.

ფანჯრის რაფასთან, აბაზანაზე, დადგმული იყო აქვარიუმი. აქვარიუმის ახლოს ჟანგბადით სავსე ბალონი იდგა. სწორედ ამ აქვარიუმში უნდა ჩატარებულიყო აბუსირელი მეფის გაცოცხლების პირველი ცდები.

ერთ დღეს ყველანი დარბაზში ვისხედით და ჩვენჩვენი საქმით ვიყავით გართულნი. ირენი წამლებს ჩაჰკირკიტებდა, მე გლობულინის ვარგისიანობას ვამოწმებდი, ჟოკლი ნელა ურევდა ხსნარს, რომელშიც ძვალი ეგდო. უცებ, დეშლენი აყვირდა. იგი ჟოკლის გვერდით გაშეშებულიყო და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს განძრევისა ეშინიაო.

— შეხედეთ! — ყვიროდა დეშლენი, — შეხედეთ ერთი, ღვთის გულისათვის!

მე და ირენმა მასთან მივირბინეთ.

ვუცქირეთ, დიდხანს ვათვალიერეთ, მაგრამ ძვალს ვერავითარი ცვლილება ვერ შევატყვეთ.

— ფერს დააკვირდით, ფერს! დაბრმავდით? ნუთუ ვერ ხედავთ — ძვალი ვარდისფერი გახდა!

ელექტრონის შუქზე ძვალი ყვითელი და უსიცოცხლო ჩანდა. — სად ჯანდაბაში იყურებით, აი, აქ შეხედეთო — თითით გვანიშნა დეშლენმა და, მართლაც, მარჯვნივ, ნეკნის მორჩზე დავინახეთ ვარდისფერი ლაქა. ჟოკლმა უმატა ხსნარის რევას და ლაქა ჩვენს თვალწინ საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. გაოცებისაგან მე და ირენს ენა მუცელში ჩაგვივარდა. არც დეშლენსა და ჟოკლს ადგათ კარგი დღე.

პირველად დეშლენმა ამოიღო ხმა:

— ირენ, სასწრაფოდ აავსეთ აქვარიუმი ფიზიოლო-

* დასასრული. დასაწყისი № 4.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები
რევაზ ცუცქირიძისა

# ჯიშის ქუჩაში

გიური ხსნარითა და მასაზრდოებელი სითხით. ეცადეთ, ხსნარი კარგად გააჯეროთ ჟანგბადით.

ლაბორატორიაში მუშაობა გახურდა. ირენმა აქვარიუმი აავსო ღია ვარდისფერი სითხით. მე ჟანგბადის ბალონს რამდენიმე ბეწვა მილი მოვარგე და აქვარიუმის ფსკერზე ჩავუშვი, მერე ბალონის რედუქტორი გავხსენი და სითხის ზედაპირზე პაწია ბუშტულები ამოტივტივდნენ.

მასაზრდოებელ სითხეში ძვალი შუაღამისას გადავიტანეთ. ჩვენი ვარაუდით, იგი ფსკერზე უნდა დაძირულიყო, მაგრამ შუაგულში გაჩერდა. აქვარიუმს ძლიერი სინათლე დავაშუქეთ და დაველოდეთ, — რა მოხდებოდა. ასე ვიდექით დილამდე... არაფერიც არ მოხდა. დავიქანცეთ. დაიღალა დეშლენიც. მან დილით განკარგულება გასცა — გამოცვალეთ ხსნარი და დაისვენეთო. აქვარიუმთან ჟოკლი დარჩა.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე დამქანცველი დღე, მაგრამ ძვალი ადამიანად გადაქცევას არ აპირებდა. დეშლენს დანა პირს არ უხსნიდა. ხანდახან აქვარიუმთან მიიჭრებოდა, კუშტად დახედავდა, სწრაფად გამოტრიალდებოდა. გვეგონა, — ჩვენს შეკოწიწებულ იდეას აგერაგერ წირვა გამოუვიდოდა, მაგრამ...

მოხდა შემთხვევა, რომელმაც ჩვენი იდეა დამსხვრევას გადაარჩინა.

ეს იყო ერთი იმ შემთხვევათაგანი, რომელთა წყალობითაც მეცნიერებაში ხშირად უდიდესი აღმოჩენები ხდება ხოლმე.

ერთ ღამეს აქვარიუმთან მე ვმორიგეობდი. თვალყურს ვადევნებდი ჟანგბადის წნევას, მასაზრდოებელ სითხეში წყალბადის იონების კონცენტრაციას და ხსნარის ტემპერატურას, რომელიც არ უნდა ასცილებოდა ადამიანის სხეულის ტემპერატურას.

ღამის სამ საათზე ჩამთვლიმა. გამაღვიძა უცნაურმა სუნმა. წამოვხტი და სახტად დავრჩი: აქვარიუმიდან ორთქლი ამოდიოდა; დავხედე თერმომეტრს და ელდა მეცა — იგი სამოცდაათ გრადუსს უჩვენებდა. ესეც შენი ადამიანის სხეულის ტემპერატურა!

თურმე ძილში უნებლიედ გადამეწია რეოსტატის საგდული.

რეოსტატი სასწრაფოდ გამოვრთე, ცივ წყალში დავასველე პირსახოცი და შემოვახვიე ქილას, რომელშიც საცდელი ძვალი იდო. ტემპერატურა დაეცა, მაგრამ ორთქლი აქვარიუმიდან მაინც ამოდიოდა. სიმწრის ოფლმა დამასხა და სულ იმაზე ვფიქრობდი, რას იტყოდა დეშლენი.

„ყველას დაგვხოცავს“, — ვფიქრობდი მე.

ძვალი ქილიდან ფრთხილად ამოვიღე და სინათლეზე დავხედე. ფერი შეცვლოდა. „ახლავე უნდა ვუთხრა... სულ ერთია, ყველაფერს მიხვდება“.

ღია ვარდისფერის ნაცვლად ძვალს წითელი ფერი მიეღო და მოთეთრო ბუსუსებით შეფიფქულიყო, რომლებსაც წყნარად ალივლივებდა ჟანგბადის ბუშტულები. საოცარი ის იყო, რომ ბუსუსები ელვის სისწრაფით იზრდებოდა, — გათენებისას ძვალი უკვე დაიფარა ხშირი ფოჩებით.

ველარ მოვითმინე და პროფესორის კაბინეტში შევვარდი. იგი სავარძელში იჯდა და ეძინა. მაგიდაზე გადაშლილი ჟურნალები ეყარა. პროფესორს მხარზე დავადე ხელი და გავაღვიძე.

— რა ამბავია! — წამოხტა იგი ფეხზე, — რა მოხდა?!

— დავიღუპეთ, ბატონო პროფესორო, დავიღუპეთ!

მეტი არაფრის თქმა დამჭირვებია, — პროფესორი ქილასთან გაჩნდა.

დეშლენი კარგა ხანს იდგა ჩაფიქრებული, თითქოს მძიმე ავადმყოფს ადგას თავზე და დიაგნოზი უნდა დასვასო.

— ყოჩაღ! როგორ მოახერხეთ ეს?! — შესძახა მან.

მეგონა — დამცინოდა.

— არა, მაინც როგორ მოახერხეთ? — გაიმეორა გახარებულმა პროფესორმა.

შვებით ამოვისუნთქე.

— აღლოთი ვგრძნობდი, — ასე იყო საჭირო. ტემპერატურის აწევა, როგორც ჩანს, აუცილებელი ყოფილა რეაქციის დასაჩქარებლად. ვგრძნობდი, მაგრამ თავი ვერასგზით ვერ დავაჯერე. ო, ეს ბედნიერებაა, ბე-დნი-ე-რე-ბა! — პროფესორი გადამეხვია და გადამკოცნა.

გაოგნებული ვიდექი და ვერაფერი გამეგო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ჩავხედე აქვარიუმს.



დავხედე თერმომეტრს და ელდა მეცა.

ძვალს პირვანდელი სახე დაჰკარგოდა და ხავსმოდებულ დიდ ბოლქვად გადაქცეულიყო. იგი ახლა ზღვის ღრუბელს ჰგავდა. როცა პალანი სითხის ზედაპირზე ამოიზარდა, დეშლენმა დასჭექა:

— ჩქარა მომზადეთ დიდი აბაზანა! ჩქარა ჩაასხით შიგ უნივერსალური მასაზრდოებელი სითხე! ჩქარა გააღვიძეთ ყველა! ჩქარა! ჩქარა! ჩქარა!

ქვემოთ ჩავფრინდი და ამოვიყვანე ნახევრადმძინარე ირენი. კიბეზე ამორბოდა ქოკლი და ტანისამოსს გზა-გზა იცვამდა.

— თუ ღმერთი გწამთ, გვითხარით, რა მოხდა! — კითხულობდა გაოცებული ირენი.

— რა მოხდა? რა მოხდა და — რევოლუცია! ჩვენი სახურა გაცოცხლდა, მკვდრეთით აღსდგა, აგერ — ჩვენს თვალწინ იზრდება.

ვერ აგიწერთ, რა სიხარული დატრიალდა ჩვენს გულებში. ვინ—წამლებს მივარდა, ვინ—ხსნარს ამზადებდა... ავავსეთ ორი მეტრი სიგრძის აქვარიუმი. ლაბორატორიაში ისევ ახალი ძალით გახურდა მუშაობა.

გახარებული დეშლენი წამდაუწუმ იძლეოდა მითითებებს.

— გახსოვთ? როცა ფარაონის ძვალი მოიტანეთ, თქვენ ირონიულად თქვით: ამისგან ათი ფარაონი გაცოცხლდებაო! ხომ გახსოვთ! — ღიმილით მითხრა დეშლენმა.

რაღა მეთქმოდა!

— მაშ ასე, ჩემო მეგობრებო! ერთი და ორი ფარაონი კი არა, ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს ფაბრიკა, რომელიც გამოუშვებს უმაღლესი ხარისხის აბუსირელ მეფეებს! — გვითხრა აღფრთოვანებულმა დეშლენმა.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. მე ისევ გამიელვა თავში აზრმა, რომ პროფესორი ჭკუიდან გადავიდა. ის კი განაგრძობდა:

— ჯერჯერობით, ჩვენ ორი ფარაონი უნდა გავაცოცხლოთ. ქოკლ, ამ აბაზანას გვერდით მიუდგით მეორე აბაზანა!

— როგორ, პროფესორო, — ჰკითხა ირენმა, — ჩვენ ხომ ერთი ძვალი გვაქვს?

— გავჭრით ორად და ორი გვექნება! ხუთად გავჭრით და — ხუთი! რამდენიც გვინდა! როგორც გვინდა!..

ამ იდეამ ყველანი გაგვაოცა. ჩვენ ახლა ყოვლისშემძლენი ვიყავით!..

დავდგით ორივე აბაზანა. ჩავასხით ხსნარი. დეშლენმა პინწკალ ამოიღო აქვარიუმიდან ძვალი, რომელიც გაზრდილიყო და კანი შემოჰკვროდა, ფრთხილად დადო სტერილიზებულ მინაზე. ქირურგიული ხერხით ორ თანაბარ ნაწილად გაჰყო და ცალ-ცალკე ფრთხილად ჩადო აბაზანაში.

— ამ ერთი ძვლიდან გაცოცხლდება სახურა პირველი, — თქვა მან საზეიმო ხმით, — მეორედან — სახურა მეორე!

ორივე ფარაონი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. ძლივს ვასწრებდით ახალი ხსნარის მომზადებას. დეშლენი უკვე მისხლობით აღარა წონიდა საკვებ ნივთიერებებს. — აიღეთ დაახლოებით ამდენი და ამდენი..., — გვეუბნებოდა იგი, — ყოველი ცოცხალი ორგანიზმი საზრდოდ იღებს ნივთიერებათა მხოლოდ იმ რაოდენობას, რამდენიც მას სჭირდება.

დიახ! ნამდვილად სასწაული მოხდა: ერთ თვეში ეგვიპტის ორივე მეფემ ადამიანის სახე მიიღო. დეშლენი საათობით იჯდა მათ გვერდით და რაღაცას გაფაციცებით იწერდა.

— დღემდე არავის არ ჰქონია ასეთი შესაძლებლობა — თვალყური ედევნებინა ადამიანის ქსოვილის განვითარებისათვის. მომავალში ბევრ ანატომსა და ფიზიოლოგს შეშურდება ჩემი, — ამბობდა დეშლენი.

ამ დროს მე მაწვალებდა ჯერ ბუნდოვანი, ხოლო შემდეგ მკაფიოდ გამოკვეთილი აზრი, რომელიც ყველაზე პირველად ირენს გავუზიარე.

— შენ ხომ კარგად იცი, — ფარაონი, გადმოცემით, კიბოთი გარდაიცვალა. მე ახლა არ მასვენებს კითხვა, — დარჩება თუ არა გაცოცხლებული ფარაონების სხეულში კიბოს ნასახი?

ვიცოდი, — ირენი ვერაფერს მიპასუხებდა. ამიტომ ამავე კითხვით დეშლენს მივმართე. მან მოკლედ მოსჭრა:

— არც ერთი დაავადება არ არის მემკვიდრეობითი!

— კი მაგრამ... კიბო? ამბობენ, მემკვიდრეობით გადადისო...

— არა, გეთაყვა! მემკვიდრეობითი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე ავადმყოფობისადმი მიდრეკილება. მაგრამ ჩვენ ახლა სრულებით არ გვაინტერესებს, რით დაიხოცებიან ჩვენი ფარაონები. ჩვენთვის მთავარია — დავსცინცლოთ მათ განძის საიდუმლოება, სხვა არაფერი...

— მაინც, რა ასაკისანი იქნებიან ფარაონები?

— ჩასახვიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე ადამიანში ხდება ორმოცდაათამდე უჯრედის დაშლა. ფარაონთა აღდგენა-განვითარების პროცესს ჩვენ შევწყვეტთ დაახლოებით ორმოცი უჯრედის დაშლის შემდეგ. ჩემი ანგარიშით, ეს იქნება ზუსტად ის ასაკი, როცა სახურამ ანდერძი დატოვა.

დეშლენის ვარაუდი დამაჯერებელი მეჩვენა, თუმცა რაღაცაში მაინც ეჭვი მეპარებოდა და უკმაყოფილების გრძნობა მიპყრობდა.



ერთ მშვენიერ დღეს პროფესორმა მე და ქოკლი გვიხმო და დაღლილი ხმით გვითხრა:

— თქვენ იმორიგევეთ, მე უნდა დავისვენო.

პროფესორი კაბინეტში ჩაიკეტა...

ამასობაში ფარაონები უკვე დაიზარდნენ. ორივე მაღალი იყო, გრძელი წვერები, დიდრონი შავი თვალები ჰქონდათ, საოცარი ცნობისმოყვარეობით იჭყიტებოდნენ.

— დაგღალეთ, არა? — მკითხა მოულოდნელად უცნობმა.

— რას ამბობთ, ძალიან საინტერესო ამბავია, — ვუთხარი მე.

უცნობმა სიგარა ამოიღო, ასანთს გაჰკრა, მადიანად მოქაჩა და განაგრძო:

— მახსოვს, ეს მოხდა გვიან ღამით. მე და ირენი მორიგეობის შემდეგ ჩვენს ოთახში ვისვენებდით. დეშლენი ისევ თავის კაბინეტში იყო ჩაკეტილი. ქოკლი მორიგეობდა. შუაღამისას გამოგვაღვიძა მინის მსხვრევის ხმამ. ამ ხმას თან მოჰყვა უცნაური, არაბუნებრივი ჭყიპინი და კნავილი.

მყისვე გავიქეცით ლაბორატორიისაკენ. შევაღეთ კარები და რას ვხედავთ: ერთი აბაზანა დამსხვრეულია. სითხე იატაკზეა დაღვრილი, მინის ნამსხვრევებზე აგდია ქოკლი, რომელსაც სახურა პირველი ჩაბღაუჭებია და არ უშვებს. სახურა მეორე აქვარიუმის კარბას ეპოტინება და ამოსვლას ლამობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირენმა შეჰკივლა და უკან გაიქცა. მე ქოკლთან მივვარდი, ფარაონს ორივე ხელი კისერში ჩავავლე, მინდოდა ქოკლისაგან როგორმე მომეცილებინა. ამასობაში აქვარიუმიდან ამობობღებულიყო სახურა მეორე, რომელიც ფეხებში მეცა და იატაკზე მომადენინა ბრაგვანი.

ისეთი ყვირილი და ღრიანცელი ატყდა, ხმა ალბათ ქუჩაშიც კი გადიოდა.

ოთახში შემოვარდა დეშლენი. იმის მაგივრად, რომ ჩვენ მოგვშველებოდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო, ცოტა ხანს იდგა და მერე მაგიდაზე რაღაც ბოთლებს მივარდა.

— ღვთის გულისათვის, არაფერი დამართოთ ფარაონებს, გემუდარებით... არ მოჰკლათ, არაფერი ჩაარტყათ, ისინი ახლავე დამშვიდდებიან, — გვეხვეწებოდა დეშლენი. ჩვენ კი ვბობღავდით იატაკზე და ვცდილობდით, როგორმე თავი დაგვეღწია ორი გოლიათი ბავშვისაგან, რომელთა უცნაურ ღრიალზეც შუშის ჭურჭელს წკრიალი გაჰქონდა...

უცებ ყველაფერი დაწყნარდა. ჯერ დაჩუმდა სახურა პირველი, მერე — სახურა მეორე. მე და ქოკლი ქოთქებივით ამოვიწუწეთ; გვერდზე გავდექით და „ბრძოლის ველს“ დავხედეთ: რაც ჩვენ დავინახეთ, ჭკუაზე შეშლიდა კაცს, — იატაკზე გორავდა ორი შიშველი მეფე, ხელი ჩაევლოთ რაღაც სითხით სავსე ბოთლებისათვის და ქშენითა და ფშუტუნით წოვდნენ.., დიახ, წოვდნენ! სახეზე სიამე გადაჰფენოდათ და დრო და დრო გამოთაყვანებულებივით იღიმებოდნენ.

ვიდრე ჩვენ ამ სურათს მივჩერებოდით, დეშლენი ახალ ბოთლებში ასხამდა სითხეს. ბოთლი ჯერ სახურა პირველმა გამოსცალა, მერე ბრაზიანად გვერდზე ისროლა და ღრიალი მორთო. დეშლენმა მეორე ბოთლი მისცა და ფარაონი გაყუჩდა. ასევე მოიქცა სახურა მეორეც... წამით ლაბორატორიაში სიჩუმე დადგა. შემოვიდა ირენი.

— დააფარეთ რამე, უხერხულია... ესენი ხომ მამაკაცები არიან, — თქვა ირენმა.

დეშლენმა ცერად გახედა ირენს და მწარედ ჩაიღიმა:

— ჰო, მამაკაცები... მაგრამ — ბავშვები!..

— დიდი ბავშვები! — დავუმატე მე.

— მერედა, როგორ ჰგვანან ეს წყეულები ნამდვილ ფარაონებს! — თქვა ნაღვლიანად დეშლენმა.

— ჰგვანან თუ არ ჰგვანან, ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, — თქვა ირენმა, — ადამიანები ფარაონებად როდი იბადებიან... ადამიანებს ფარაონებად აქცევს ცხოვრება, აღზრდა, სწავლა, საზოგადოება, ეპოქა...

დეშლენმა ამაზე არაფერი უპასუხა. ირენმა განაგრძო:

— ადამიანის უჯრედში შესაძლოა იყოს სხეულის აღდგენისა და ზრდის თვისება, მაგრამ მასში არ არის ის ძირითადი რამ, რაც ერთ ადამიანს მეორისაგან განასხვავებს. თქვენს ფარაონებს არ გააჩნია არც ჭკუა, არც მეხსიერება. მათ არაფერი არ იციან თავიანთი წარმოშობის შესახებ. ამათთვის ეგვიპტე ისე უცხოა, როგორც ყველა სხვა ქვეყანა. მეტი არაა მტერი — ამათგან ვერაფერი გავიგოთ! — ამოიოხრა ირენმა.

— ეჰ, ჩემო კარგო, მე ეს დიდი ხანია ვიცი! ამ დასკვნამდე მაშინ მივედი, როცა მათი ტვინის განვითარებას ვაკვირდებოდი, მაგრამ... ვდუმდი, მაინც რაღაც იმედი მქონდა... არაფერი გამოვიდა, — ამ ჩემი ცოდვით სავსეებს ბავშვის ტვინი აქვთ, — თქვა პროფესორმა, რომელიც ერთ წერტილს ჩაშტერებოდა და გაუნძრევლად იდგა.

უძრავად ვიდექით და უხმოდ დავყურებდით წყლის ორი წვეთივით ერთმანეთის მსგავს საცოდავ ფარაონებს. სევდა ლოდივით გვაწვა გულზე.



შევაღეთ კარები და რას ვხედავთ: ერთი აბაზანა დამსხვრეულია, სითხე იატაკზეა დაღვრილი, მინის ნამსხვრევებზე აგდია ქოკლი, რომელსაც სახურა პირველი ჩაბღაუჭებია.



**სახეშეცვლილი პროფესორი ისევ ჩვენთან შემოიჭრა. გაისმა სროლა...**

უეცრად კარზე საშინელი ბრახუნი ატყდა. შიშისაგან სახურა პირველს ხელიდან გაუვარდა შაქარწყლიანი ბოთლი და საცოდავად აღრიალდა.

— არ გაუღოთ, — იყვირა დეშლენმა, — იწამეთ ღმერთი, არ გაუღოთ კარი!

მაგრამ გვიანღა იყო. კარი შემოანგრიეს. ოთახში გერმანელი ოფიცერი და ავტომატმომარჯვებული ხუთი ჯარისკაცი შემოიჭრა.

როცა დაინახეს, რაც ოთახში ხდებოდა, სახტად დარჩნენ. ეგვიპტელი მეფეების ღრიალი ოფიცრის ცივმა ყვირილმა შთანთქა:

— რა ხდება აქ?! ვინ ხართ თქვენ?! რას ნიშნავს ყოველივე ეს?! გვიჩვენეთ საბუთები! ჩქარა!

დეშლენმა თავი ვეღარ შეიკავა, გერმანელებს წაეჯიკავა და ოთახიდან მოუნდომა გაგდება. ისინი რომ ვერ გაჰყარა, თვითონ გავარდა და თავის კაბინეტში შეიჭრა. მას ორი ჯარისკაცი დაედევნა. მე და ირენს ხელები აგვაწევინეს. დეშლენის კაბინეტიდან მოისმა ჯერ ერთი, მერე მეორე გასროლა. სახეშეშლილი პროფესორი ისევ ჩვენთან შემოიჭრა, ხელში რევოლვერი ეჭირა, რომელსაც ლულიდან ბოლი ამოსდიოდა. უცებ ჩაიკეცა და იატაკზე გაიშხლართა. ერთ გერმანელ ჯარისკაცს ყოკლი ეცა, წამოაქცია და მოგუდა. გაისმა სროლა. კიდევ... კიდევ...

მეფეები საცოდავად კნაოდნენ, ხელებს უსუსურად აქნევდნენ და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ.

მე და ირენს ხელები უკან გადაგვიგრიხეს და გარეთ გამოგვყარეს.

რაც ამის შემდეგ მოხდა — აღარ არის საინტერესო. ერთ კვირაში, ფრანგი პატრიოტების დახმარებით, მე გაქცევა მოვახერხე. ირენის დიდხანს არაფერი ვიცოდი, — მისი ასავალ-დასავალი დამეკარგა.

ერთი წლის შემდეგ შემთხვევით შევეხეტე აფთიაქში, სადაც მე და ირენი ერთად ვმუშაობდით. მოხუცმა პროვიზორმა მითხრა:

— ყური მოვკარი, რომ ირენმა წამებაში დალია სული. ამბობენ, გერმანელებს სურდათ ირენისაგან გაეგოთ რამე რომელიღაც ტყუპი სულელების შესახებ, რომლებიც საპყრობილის საავადმყოფოში კიბოთი გარდაცვლილან... ფაშისტებს თურმე იმის გაგებაც უნდოდათ, — რა ურთიერთობა ჰქონდა დეშლენს საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობასთან.

უცნობმა თხრობა დაამთავრა.

კიდევ დიდხანს ვიჯექით უხმოდ ჰეოპსის პირამიდასთან, რომელიც ეგვიპტური ღამის უძირო ოკეანეში ჩაძირულიყო.

— თქვენ როგორ მოხვდით აქ? — ვკითხე ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ფრანგს.

— დიდი ვაი-ვაგლახით ჩამოვაღწიე; გზაში დამეხარჯა, თუ რამე გამაჩნდა.

— კი მაგრამ... რამ გაიძულათ?

— ნუთუ ვერ ხვდებით!?

— ვერა.

— ფული მინდა დავაგროვო, სამხრეთისაკენ უნდა ავიღო გეზი, აბუსირში...

— მეფე სახურას განძის საპოვნელად? — ჩავუქილიკე მე.

მე ვერ ვხედავდი მას, მაგრამ ვიგრძენი, რომ თავი დააქნია, რაც ნიშნავდა: „დიახ, განძის საპოვნელად მივდივარ...“

— თქვენი ისტორია ათ პიასტრზე მეტი ღირს, — ჩავილაპარაკე მე და გამოწვდილ ხელში ფული ჩავუდე...

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ. მითხარით თქვენი მისამართი... ვინ იცის, იქნებ აბუსირში მართლა ვიპოვო განძი...

— ო, რას ამბობთ, მე არაფერს არ გთხოვთ, არც მინდა...

უცნობი წამოდგა: — „მშვიდობით!“ — ჩაილუღლუღა და ღამეს შეერია.

ავდიოდი სასტუმრო „მენ-ჰაუზის“ კიბეზე და ვფიქრობდი, რომ ამ უცნაური ისტორიის, მეტი თუ არა, ნახევარი მაინც — მოგონილია

თარგმნა **გივი ძნელაძე**



სიმონ სხირტლაძე

ნახატები ვაჟა მელიქიშვილისა

# შევკრიბოთ ხალხური ზეპირსიტყვიერების სამკალს

ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შექმნა.

ჩანაფიქრის სიღრმითა და შესრულების ოსტატობით ისინი არ ჩამოუვარდებიან არც ერთი მოწინავე ერის გონებრივ ნაჭირნახულევს.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ; საკმარისია თუნდაც ჩვენი ერთ-ერთი საგანძურის — ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების გახსენება.

ხალხური ზეპირსიტყვიერების — ფოლკლორის მდინარე უხსოვარი დროიდან მოედინება. ჟამთა დაუსრულებელ სრბოლაში იგი ახალ-ახალი შენაკადებით ივსებოდა, იზრდებოდა და კიდევ უფრო მშვენიერდებოდა.

ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგის, ვახტანგ კოტეტიშვილის მოხდენილი თქმისა არ იყოს „ხალხური პოეზია ზღაპრული ჭა არის. — რამდენიც უნდა იღო წყალი, მაინც არაფერი აკლდება".

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, გამოჩენილი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე გაუოცებია ქართველების სალაშქრო და საცეკვაო სიმღერებს, საერო მუსიკის ვაჟკაცურ ხმებს.

ხალხური ზეპირსიტყვიერება, რომელიც მრავალი თაობის ნაღვაწია, მთელი გულთამხილველობით და სიმართლით გვახედებს ჩვენს შორეულ წარსულში, გვაცნობს ხალხის ცხოვრებას, მის ჭირსა და ლხინს.

სამართლიანად შენიშნავდა აკაკი წერეთელი: „ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გარდასული ცხოვრებისა. არც ერთი შესანიშნავი მოვლენა არ ყოფილა ჩვენში, რომ ხალხს უყურადღებოდ დაეგდოს და მაირი არ გამოეთქვას".

აღსანიშნავია, რომ ქართული ზეპირსიტყვიერების საუნჯეს ყოველთვის სიყვარულითა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ ჩვენი წინაპრები.

ქართული მხატვრული მწერლობისა და მუსიკალური კულტურის უბრწყინვალესი შედევრები დიდად არიან დავალებული ხალხური თქმულებებით, ლეგენდებით, მელოდიებით.

გავიხსენოთ დავით გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, ზაქარია ფალიაშვილი და მათი დამოკიდებულება ხალხური შემოქმედებისადმი.

ჩვენმა წინაპრებმა ფრიად საპატიო შრომა გასწიეს ხალხური ზეპირსიტყვიერების შესაკრებად.

ამ საშვილიშვილო საქმეს თავის დროზე დიდი ამაგი დასდეს თეიმურაზ ბატონიშვილმა, პლატონ იოსელიანმა, დავით ჩუბინაშვილმა, ალექსანდრე ორბელიანმა...

დიდმა ილიამ, დუშეთში მოსამართლედ ყოფნისას, დიდძალი მასალა შეკრიბა და „გლეხური სიმღერების" სახელწოდებით პერიოდულ პრესაში გამოაქვეყნა. ითვალისწინებდა რა ჩვენი ეროვნული საგანძურის დიდ მნიშვნელობას, ილია წერდა: „ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; მისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ".

ილიას გვერდით აკაკი ამოუდგა და ასეთი მოწოდებით მიმართა თანამემამულეთ: არც ერთი საქმე ისე სასწრაფო არ არის, როგორც



ზეპირგადმოცემის შეკრება-შეგროვებაო; აკაკი თვითონ დადიოდა სოფლიდან სოფელში და საგულდაგულოდ აგროვებდა ხალხური შემოქმედების მარგალიტებს.

ფოლკლორის ნიმუშების შეკრების საქმეს დიდი ამაგი დასდეს იაკობ გოგებაშვილმა, პეტრე უმიკაშვილმა, რაფიელ ერისთავმა, ვაჟა-ფშაველამ, ალექსანდრე ყაზბეგმა, ნიკო ხიზანიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ლადო აღნიაშვილმა, თედო რაზიკაშვილმა...

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ხალხური ზეპირსიტყვიერების ღრმა მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

მიმდინარე წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა ერთობ კარგი საქმე წამოიწყო და ჩვენც ამ მიმართულებით გვწადია გავამახვილოთ მოსწავლე ახალგაზრდობის ყურადღება. საქმე შემდეგშია: აღნიშნული ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ ჩაატარა მესამე საკოორდინაციო კონფერენცია ფოლკლორისტიკის საკითხებზე. გადაწყდა, გამოიცეს ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეული, რომელიც თემატურად შემდეგნაირად იქნება შედგენილი: საგმირო, სატრფიალო, მითოლოგიური, საწესჩვეულებო, ისტორიული, საყოფაცხოვრებო, შრომის ამსახველი და სამეურნეო ლექსები.

მრავალტომეულში სრული ასახვა უნდა ჰპოვოს ქართველი ხალხის მდიდარმა და მრავალფეროვანმა ზეპირსიტყვიერებამ.

ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ მოსწავლეებს. ისინი ხალხთან ყოველდღიურ ურთიერთობაში არიან და საშუალება აქვთ ჩაიწერონ ხალხური ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, ლექსები, შელოცვები, საგალობლები, გამოცანები, ანდაზები, იგავ-არაკები, მახვილგონიერი გამოთქმები...

მოსწავლე ახალგაზრდობა ხალისით უნდა შეესიოს ხალხური ზეპირსიტყვიერების სამკალს!

**რედაქცია:**

**ბავშვებო! თქვენ, მართლაც რომ დიდი წვლილის შეტანა შეგიძლიათ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვების საქმეში. ვინ იცის, ჩვენი ეროვნული საუნჯის რა მარგალიტები ელოდება მზის სინათლეზე გამოტანას; შემოუსხედით სახალხო მთქმელებს, ცხოვრებაში ბევრის მნახველ და მომსწრე ადამიანებს, მოუსმინეთ მათ და ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც ისინი მოგიყვებიან.**

**ტექსტი ჩაიწერეთ ზუსტად, მიუთითეთ—ვისგან, სად და როდის ჩაიწერეთ.**

**ჩაწერილი ტექსტები გამოგვიგზავნეთ.**

**თქვენს მიერ შეკრებილ საინტერესო ფოლკლორულ ნიმუშებს დრო და დრო გამოვაქვეყნებთ.**

# მეფე და მეთევზე

ნორჩო მხატვრებო! ეს [illegible] არ [illegible]თეთ. გვაინტერესებს,—თქვენ [illegible] მას.

წაიკითხეთ ყურადღებით; [illegible] შეძლოთ—დახატეთ. ნახატები გამოგვიგზავნეთ. [illegible] ნახატებს გამოვაქვეყნებთ.

— ერთი მეთევზე ზამთრის სუსხიან დილას მდინარეში თევზაობდა. გამოიარა სანადიროდ გამოსულმა მეფემ, თან ნაზირ-ვეზირები ახლდა.

— რა მოგივიდა, ცხრა სამს როგორ ვერ გადაამეტე, რომ ამ ყინვაში წყალში არ ჩამდგარიყავი?—ჰკითხა მეფემ.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ოცდათორმეტს ვერ გადავანარჩუნე,—მიუგო მეთევზემ.

— მთაში თოვლი მოსულაო.

— ბარშიც ჩამოთოვაო.

— შორს როგორა ხარო?

— დავიახლოვეო.

— ორზე როგორა ხარო?

— დავასამეო.

— ცხვრები რომ გამოგიგზავნო—კარგად დამიკრიჭავო?

— ისე დავკრიჭო—ტყავიც თან გავატანოო.

მეფეს ძალიან მოეწონა მეთევზის პასუხები. იქაურობას რომ გასცდნენ,—ნაზირ-ვეზირებს ჰკითხა:

— მიხვდით—რას ვლაპარაკობდით მე და მეთევზეო?

— ვერაო.

— თუ ორ კვირაში არ გამოგიცვნიათ,—სასახლიდან გაგაძევებთო.

ნაზირ-ვეზირებმა ბევრი იმტვრიეს თავი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, მონახეს მეთევზე და შეეხვეწნენ: თუ ღმერთი გწამს, აგვიხსენი,—რას ლაპარაკობდით შენ და მეფეო.

მეთევზე დათანხმდა; სამაგიეროდ, იმდენი ოქრო-ვერცხლი მოითხოვა, ნაზირ-ვეზირებს ცოლების კაბებიც კი დააყიდვინა.

შეპირებული ოქრო-ვერცხლი რომ მიიღო, მეთევზემ ნაზირ-ვეზირებს აუხსნა:

— მეფემ მკითხა: ცხრა თვეს იმდენი როგორ ვერ იშოვე,—სამ თვეს თავი გაგეტანაო?—ოცდათორმეტ კბილს ვერ გადავანარჩუნე-მეთქი.

— თმაში ჭაღარა გამოგრევიაო—წვერშიაც გამომერია-მეთქი.

— თვალი როგორ გიჭრისო?—შორს ველარ ვხედავ-მეთქი.

— მუხლში ღონე კიდევ შეგრჩაო?—ყავარჯნით დავდივარ-მეთქი.

— ცხვრებზე რომ მკითხა—ეგ თქვენა ხართო.

ასე იხსნა მეთევზემ ნაზირ-ვეზირები, თვითონ კი—გამდიდრდა.

ჩაწერა **თამარ ოქროშიძემ**



# ქართული წერა

აკადემიკოსი **აკაკი შანიძე**

დიდი ხნის ისტორია აქვს ქართულ წერას. მისი წარმოშობისა და შემოღების დროის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ქართველებს საკუთარი წერა უკვე მეოთხე საუკუნეში გვაქვს. ამას უთუოდ ხელი შეუწყო ქრისტიანობის ფეხის მოკიდებამ ჩვენში. მისი განმტკიცებისა და გავრცელებისათვის აუცილებელი იყო დამწერლობა დედაენაზე, რომ ახალი სარწმუნოების ქადაგება გასაგები ყოფილიყო ყველასათვის.

ქართული ანბანი თავიდან 37 ასოსაგან შედგებოდა. ამ ასოების რიგი ქან-ამდის (ქ ასომდის) დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ძველ ბერძნულში იყო. ქანს ბერძნულში მოსდევდა მეორე ო (გრძელი ო), ე. წ. დიდი ო ანუ ომეგა. ამ ომეგის ბადალი ასო, რომლის სახელი იყო ოჰი, ქართველებმაც შექმნეს და სულ ბოლოს მოაქციეს, ოღონდ ქანსა და ამ უკანასკნელ ოჰს შორის ჩასვეს ქართულისათვის დამახასიათებელი ასოები:

ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჴ, ჯ, ჰ.

პირვანდელი ქართული ასოები ოდნავადაც არ ჰგავდა დღევანდელ ქართულ ასოებს. აი, როგორ გამოიყურება ერთი უძველესი ქართული წარწერა, რომელიც იტალიელებმა აღმოაჩინეს 1953 წელს პალესტინაში, ბეთლემის ახლოს, მონასტრის ნანგრევების გათხრისას (სურ. 2).

თვითონ იტალიელებმა რომ ვერ წაიკითხეს, წარწერის ფოტოსურათი რომში გადაგზავნეს და იქ ქართველმა მეცნიერმა მ. თარხნიშვილმა შემდეგი ამოიკითხა:

**შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თევდორესითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია, მომსხმელი ამის სეფისაჲ და დედა-მამაჲ იოსიაჲსი. ამენ.**

წარწერაში სამი სიტყვა შემოკლებით არის დაწერილი: ქჱსითა (=ქრისტჱჲთა), თეჲსითა =თევდორეჲსითა), შნ (=შეიწყალენ).

წარწერაში ლაპარაკია იმაზე, რომ ეკლესიის იატაკი სეფით, ანუ ფერადი კენჭებით მოუპირკეთებიათ, ე. ი. იატაკი მოზაიკისა გაუკეთებიათ. ეს უქნია ვინმე იოსიას. ამ დროს მონასტრის წინამძღვრად (აბად) ყოფილა ანტონი. ეკლესია წმ. თევდორეს სახელზე ყოფილა აშენებული.

ეს წარწერა მე-6 საუკუნისაა.

იმავე ქართული მონასტრის ნანგრევებში იპოვეს ორი სხვა წარწერა, უფრო ძველი, ვიდრე ზემოთ მოყვანილი.

ძალიან ძველია აგრეთვე ბოლნისის ტაძრის წარწერები (მე-5 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებისა).

აი ასეთი იყო პირვანდელი ქართული ასოები. სხვანაირი ქართული წერა მე-9 საუკუნემდე არ არსებობდა. ამ ასოებს შესახედაობა მრგვალი ჰქონდა და ამიტომ მრგლოვანი დაერქვა. მრგლოვანში ასოები თანაბარი სიმაღლისა იყო, რამდენიმეს გარდა, რომელთაც შემდეგდროინდელ ხელნაწერებში ბოლოები ძირს ჩამოუდის, მათი ზემოდან ქვემოთ დამავალი ხაზები უმეტესად ვერტიკალურად ეშვება ძირს, ამიტომ ასოები სწორად სხედს ხაზზე.

მე-9 საუკუნეში მრგლოვანისაგან წარმოიშვა სხვანაირი ქართული წერა, რომელშიც ასოების მოხაზულობა უმეტესად იგივეა, რაც მრგლოვანისა იყო, მაგრამ აქ ასო-

**რედაქცია:**

**შეისწავლეთ ცხრილის პირველ სვეტში ჩაწერილი ასოები. (უკეთ რომ დაგამახსოვრდეთ—ივარჯიშეთ ამ ასოების წერაში).**

**ამიერიდან ხშირად გამოვიყენებთ მათ ტექსტების საწყის ასოებად.**




სურ. 1. ქართული ანბანის განვითარება



სურ. 2. ბეთლემის წარწერა (VI ს.)

ები სწორად კი არ სხედს ხაზზე, არამედ დახრილია მარჯვნიდან მარცხნივ. ამას გარდა, ზემოდან დაშვებული და განზე გაზიდული ხაზების გადაკვეთის ადგილას ასოებს კუთხეები უკეთდება. ასეთ წერას **ნუსხური** დაერქვა. ნუსხური ხელი ბატონობდა მე-10 და მე-11 საუკუნეებში. იმ ხანიდან მოღწეული წიგნები უმთავრესად ნუსხური ხელით არის ნაწერი, მრგლოვანი მათში სათაურებად და ინიციალებად (ე. ი. დასაწყის ასოებად) იყო ხოლმე გამოყენებული. მაგრამ ამავე საუკუნეებში ბევრი წიგნი თავიდან ბოლომდე მრგლოვანი ხელითაც იწერებოდა.

დახრილობისა და კუთხოვნების გარდა, მრგლოვანისაგან ნუსხური წერა იმითაც განსხვავდებოდა, რომ აქ ასოები სხვადასხვა სიმაღლისა იყო: ზოგი შუაზე იწერებოდა, ზოგი ხაზსზემოთ, ზოგი ხაზს ქვემოთ, ზოგსაც მთელი სიმაღლე ეჭირა (სურ. 3).

მე-11 საუკუნეში ამ ნუსხურისაგან კიდევ სხვანაირი წერა განვითარდა, რომელიც თავდაპირველად საკმაოდ ჰგავდა ნუსხურს, მაგრამ შემდეგ თანდათან განსხვავდა მისგან. ამ ახალ წერაში ასოები ისევ გასწორდა, ოთხ ხაზს შორის რომ კუთხეები ჰქონდა,—მოეშალა და ეს ნაწილი მომრგვალდა, ოღონდ საქვედაო ასოებს რომ ბოლოები ჰქონდა სწორი ხაზების სახით, ეს ბოლოები მათ (ყველას არა, მაგრამ უმეტესობას) მოუკაუჭდა მარცხნივ: ე, ვ, კ, ჟ, უ, ფ, ქ, ყ, ჰ. ასეთ წერას დაერქვა



სურ. 3. ქართული ხელნაწერი, (968 წ.)

**მხედრული.** მხედრულად იწერებოდა თითქმის ყველაფერი, რაც საეკლესიო მიზნებისათვის არ იყო გამიზნული: საერო შინაარსის წიგნები (ვეფხისტყაოსანი, ამირან-დარეჯანიანი, ვისრამიანი), მეფეთა ბრძანებანი, სიგელები, სასამართლო დადგენილებანი და სხვა. კერძო მიწერ-მოწერაშიც, რა თქმა უნდა, უმეტესად მხედრულს იყენებდნენ.

არავინ იფიქროს, რომ მრგლოვანი და ნუსხური გადავარდნილიყოს მხედრულის შემოღების შემდეგ. არა! ისინიც დარჩა ხმარებაში, მაგრამ მხოლოდ სასულიერო ხასიათის წიგნებისათვის, რომლებიც ეკლესიას სჭირდებოდა, როგორიცაა: სახარება, სამოციქულო, დავითნი, კურთხევანი, ჟამნი და სხვა. ამგვარი წიგნები სულ მრგლოვანითა და ნუსხური ხელით იწერებოდა, მათ უმეტესად სასულიერო პირები ხმარობდნენ და ამიტომ



სურ. 4. ორბელიანთ ტაძრის წარწერა ს. ტანძიაში (XVII ს.)

ძველ წერას, მხედრულისაგან გასარჩევად, **ხუცური** დაერქვა.

წიგნების მთლად მრგლოვანი ხელით წერა თითქმის გადავარდა მე-13 საუკუნიდან. მრგლოვანს ძირითადად წარწერებშიღა ხმარობდნენ. აი, მაგალითად, ორბელიანთ ტაძრის წარწერა მე-17 საუკუნისა, სულხან-საბა ორბელიანის ეზოში, ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში (სურ. 4).

წარწერის თავში ჯვარია, შემდეგ იკითხება: **წმიდაო ნიკოლაოზ მეოხ ექმენ პატრონს ორბელს.**

წარწერაში სიტყვები—**წმიდაო, ნიკოლაოზ, პატრონს** შემოკლებით (ქარაგმით) სწერია; წო (=წმიდაო), ნკზ (=ნიკოლაოზ), პტრნს (=პატრონს).

ახალი წერა, ე. წ. მხედრული, როგორც ვთქვით, ნუსხურისაგან წარმოიშვა მე-11 საუკუნეში და თანდათანობით ისე დაშორდა ნუსხურს, რომ სულ სხვა სახე მიიღო; ერთი რამ მაინც შემორჩა ნუსხურს: მისი ასოები სიმაღლით და მდებარეობით ოთხ ჯგუფად იყოფა: ზოგი შუაზე იწერება, ზოგი ხაზს ზემოთ ადის, ზოგი

ხაზს ქვემოთ ჩამოდის, ზოგსაც მთელი სიმაღლე უჭირავს, როგორც ეს დღევანდელ წერაშია. მაგ., რომ ავიღოთ სიტყვები ქართული წერა, ვნახავთ, რომ შუაზე იწერება ა, თ, ი, ზემოთ ადის რ, ქვემოთ ჩამოდის ე, ლ, უ, მთელი სიმაღლისაა ქ, წ.

საინტერესო სურათს იძლევა მხედრული წერის განვითარება. აქ მოვიყვანთ, მხოლოდ მე-11 და მე-12 საუკუნეების ნიმუშებს. (სურ. 5, 6).



სურ. 5. ერთი აბზაცი ბაგრატ IV სიგელისა (XI ს.)

შეიძლება ითქვას, რომ მე-17 საუკუნეში მხედრულმა ძირითადად უკვე მიიღო ის სახე, რომელიც შემდეგ ბეჭდვამ განამტკიცა და დღემდე გვაქვს. ქართული წერის განვითარების საფეხურებს ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი (სურ. 1).

ასოების მოყვანილობით დღევანდელი წერა ისეა და-



სურ. 6. ერთი აბზაცი გიორგი III სიგელისა (XII ს.)

შორებული პირვანდელს, რომ კაცი იფიქრებს—ეს ორი სხვადასხვა ერის წერააო. არა! ერთი ერისაა, მაგრამ სხვადასხვა ეპოქისა· უცნაური ამბავი კია: ასეთი გადასხვაფერება არც ერთ წერას არ განუცდია: არც ბერძნულს, არც ლათინურს, არც არაბულს, არც სომხურს. როგორც აბრეშუმის პარკიდან გამომძვრალი პეპელა არ ჰგავს იმ ჭიას, რომელმაც ეს პარკი გააკეთა, ისე არ ჰგავს ჩვენი დღევანდელი წერა მე-5 საუკუნის ქართულ წერას. მოხაზულობა თითქმის ყველა ასოს შეეცვალა, ცვლილებას გადაურჩა ერთადერთი ასო ს, რომელიც დღესაც ისე იწერება, როგორც მე-5 საუკუნეში. აბა დააკვირდით ბეთლემისა და ტანძიის წარწერებს, მონახეთ შიგ სანები და ადვილად დარწმუნდებით, რომ ეს ასეა; ახლა სხვა ასოებსაც დააკვირდით და შენიშნავთ, რომ მათი მოყვანილობა ძველად სხვა იყო, დღეს კი სხვაა.

აუცილებელია, რომ ყველა ქართველმა იცოდეს ძველი ქართული ასოების წერა და კითხვა, ეს საშუალებას მოგვცემს, ძველი ქართული წიგნი ქართულად ვიცნათ, და თუ სადმე შეგვხვდა ქართული წარწერა—შევიძლოთ ამოკითხვა.

ძველი წერის ცოდნა იმისთვისაცაა საჭირო, რომ მრგლოვანი გამოვიყენოთ მთავრულ ასოებად წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში, როგორც ეს მიღებული იყო ჩვენში წინათ (მე-18 და მე-19 საუკუნეებში). მთავრულების ხმარება მიღებულია ბერძნულში, რუსულში და ევროპის სხვა ენებში. მათი ხმარება დიდად დაამშვენებს ქართულ ბეჭდვით ნაწარმოებს (სურ. 7).

[illegible]ეთილ-მესხურისა მეფისა ამის დავით აღმაშენებელისაგან არს აღშენებული ტრაპეზონტს პირისპირ ქალაქისა მის მაღალსა მთასა ზედა მონასტერი დიდი ლავრა სახელსა ზედა ყოვლად წმინდისა ღვთის-მშობლის მიცვალებისასა და სახელსიდებს სუმელის მონასტერი. ამა მონასტერსაცა შინა ქართველთა მონაზონნი ყოფილან, აწ ბერძენთა უპყრიეს, დღესაც მოუშლელი არს მონასტერი იგი; მარადის მონასტერსა მას შინა გარდა სხვათა მსახურთა მონასტრისათა სამეოცდა ათნი მღვდელ-მონოზონნი არიან, და არიან მონასტერსა მას შინა მრავალნი ძველნი წიგნნი ქართულნი. მამულნი და შემოსავალნი მონასტერსა მას დავით მეფისა აღმაშენებელისა მიერ აქვს შეძინებულნი.

სურ. 7. თეიმურაზ ბაგრატიონი. საქართველოს ისტორია (1848 წ.



## პასუხები

1. ვლადივოსტოკი და მოსკოვი დროის სხვადასხვა სარტყელში მდებარეობს: როცა ვლადივოსტოკში დილის 8 საათია, მოსკოვში მაშინ საღამოს 5 საათია. ამ ქალაქებს შორის მანძილი 9 ათასი კილომეტრია. თუ თვითმფრინავი ვლადივოსტოკიდან დილის 8 საათზე გამოფრინდება და საათში 1000 კილომეტრი სიჩქარით იფრენს, — მოსკოვში დილის 8 საათზე იქნება.

2. ჰაერში ყოველი სხეული წონაში იმდენს იკლებს, რამდენსაც იწონის მის მიერ გამოდევნილი ჰაერი. აქედან გამომდინარე — ხე და რკინაც ჰკარგავს თავისი წონის ნაწილს. ერთი ტონა რკინის ჭეშმარიტი წონა უდრის—ერთი ტონა + ჰაერის ის წონა, რაც რკინამ გამოდევნა. ასევე — ერთი ტონა ხის ჭეშმარიტი წონა უდრის—ერთი ტონა+ჰაერის ის წონა, რაც ამ ხემ გამოდევნა.

ერთი ტონა ხე თხუთმეტჯერ მეტი მოცულობისაა, ვიდრე ერთი ტონა რკინა, ამიტომ ერთი ტონა ხის ჭეშმარიტი წონა მეტია ერთი ტონა რკინის ჭეშმარიტ წონაზე. უფრო ზუსტად: იმ ხის ჭეშმარიტი წონა, რომელიც ჰაერში ერთ ტონას იწონის, მეტია იმ რკინის წონაზე, რომელიც ჰაერში აგრეთვე ერთ ტონას იწონის. ერთი ტონა რკინა ჰაერში იკავებს 1,8 კბმ მოცულობას, ხე კი — 2 კბმ მოცულობას. მათ მიერ გამოდევნილი ჰაერის წონის სხვაობა უდრის 2,5 კილოგრამს. ამრიგად, სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნა სწორი იყო.

3. საჭირო არ არის ცალ-ცალკე გამოთვალო — რამდენი რძე და რამდენი ჩაი დალიე პირველად, რამდენი — მეორედ და რამდენი — მესამედ. ჭიქა სავსე იყო რძით, საბოლოოდ ჭიქაში რძე არ დარჩენილა, ესე იგი, შეგისვამს ერთი ჭიქა რძე. ახლა გავიგოთ, რამდენი ჩაი დალიე: პირველად ნახევარი ჭიქა შესვი, მერე კიდევ — ნახევარი; მაშასადამე, ჩაიც ერთი ჭიქა დაგილევია.

4. საქართველოს სპორტსმენებმა პირველად XV ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ქალაქ ჰელსინკში ჩატარდა 1952 წელს. ამ დიდ ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ნინო დუმბაძე, ნადეჟდა დვალიშვილი. ლევან სანაძე, ელენე გოკიელი, მედეა ჯუღელი, დავით ციმაკურიძე, ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი, რაფაელ ჩიმიშკიანი, არსენ მეკოკიშვილი და შალვა ჩიხლაძე.

ოქროს მედლები მოიპოვეს: დ. ციმაკურიძემ, ა. მეკოკიშვილმა, მ. ჯუღელმა, რ. ჩიმიშკიანმა; ვერცხლის მედლები — ლ. სანაძემ, ო. ქორქიამ, ნ. ჯორჯიკიამ, შ. ჩიხლაძემ; ბრინჯაოსი — ნ. დვალიშვილმა და ნ. დუმბაძემ.

5. ეს ახალგაზრდები იყვნენ მაქსიმ გორკი და თეოდორ შალიაპინი. როგორც გადმოგვცემენ, შალიაპინს მაშინ ხმა დაუწუნეს, გორკის კი — პირიქით. შემდგომში მაქსიმ გორკი გამოჩენილი მწერალი გახდა, შალიაპინი — ცნობილი მომღერალი.

6. „ინტერნაციონალის" ტექსტის ავტორია ფრანგი პოეტი ეჟენ პოტიე. 1888 წელს ამ ტექსტზე მუსიკა დაწერა ბელგიელმა კომპოზიტორმა პიერ დეგეიტერმა.

7. როგორც ცნობილია, პირველად მაგელანმა შემოუარა ამერიკას სამხრეთიდან და ევროპელთათვის უცნობ ოკეანეში გავიდა. ცეცხლოვან მიწასთან საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდა, მაგელანის გემები ძლივს გადაურჩნენ ბობოქარ ტალღებს. მეზღვაურებს ამის შემდეგ ნამდვილ „სამოთხედ" მოეჩვენათ უცნობი ოკეანე, სადაც იმ ხანად ქარი არ ქროდა.

ასე შემთხვევით დაერქვა მსოფლიოში უდიდეს და ყველაზე მშფოთვარე ოკეანეს „წყნარი".

8. ნავთობი, ნავთი და ბენზინი წყალზე მსუბუქი ნივთიერებებია, წყლის ზედაპირზე ტივტივებენ და წყალს არ ირევენ.

## კითხვები

1. ვის ეკუთვნის ეს სტრიქონები:

„დაჰკარ", „დაუხვდი" და „არ გაუშვა" —
აი, რა არის ჩვენი მამული.

რატომ არის ბრჭყალებში: დაჰკარ, დაუხვდი, არ გაუშვა?

რატომ ამბობს პოეტი, რომ ჩვენი მამული არის „დაჰკარ", „დაუხვდი", „არ გაუშვა"?

2. ვისია ეს სტრიქონი:

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს.

როგორ გესმის იგი?

3. ერთ ქართველ მეფეს თავდავიწყებით უყვარდა წიგნის კითხვა; იგი ერთხელ ისე გაიტაცა წიგნმა,—კინაღამ ტყვედ ჩავარდა.

ვინ იყო ეს მეფე?

4. ტროლეიბუსის ხაზი ზოგან ორად იყოფა. როცა ტროლეიბუსმა ასეთი ადგილი უნდა გაიაროს, საკონტაქტო ბიუგელი ერთი ხაზიდან მეორეზე, ზედ გამობმული თოკებით, არავის არ გადაჰყავს (არც ტროლეიბუსის მძღოლს და არც სხვას). მიუხედავად ამისა, ტროლეიბუსი თავის გზით მიდის (ან მარცხნივ, ან მარჯვნივ, ან პირდაპირ—მარშრუტის მიხედვით).

როგორ ხდება ეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ოთხფეხა მსახიობთა სკოლა

ამას წინათ, ინგლისში, ოქსფორდის საგრაფოში, გაიხსნა სკოლა, სადაც ცხოველებს წვრთნიან კინოსა და ტელესტუდიისათვის. „მოსწავლეთა“ შემადგენლობა მეტად ჭრელია: აქ არიან ლომები, ციყვები, ცხენები, მაჩვები, თხები, ძაღლები, კატები, ჩიტები, კურდღლები, ცხვრები... მომავალ მსახიობებს აჩვევენ სცენის მოედანს, იუპიტერების მძლავრ შუქს, გადამღები სტუდიის ხმაურს...

### მაკარონის იუბილე

იტალიაში გადაწყვიტეს, აღნიშნონ მაკარონის გამოგონების 750 წლისთავი. მაკარონი გამოიგონა ერთმა სიცილიელმა ალქიმიკოსმა. განზრახული აქვთ ამ გამომგონებელს ძეგლი დაუდგან თავის სამშობლოში.

### პითაგორამდე

ერაყელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს თიხის ტაბულები, რომლებიდანაც ჩანს, რომ უცნობი მათემატიკოსები, პითაგორას დაბადებამდე 1500 წლით ადრე, ამოცანების ამოსახსნელად იყენებდნენ თეორემას: „კათეტების კვადრატების ჯამი უდრის ჰიპოტენუზის კვადრატს“.

### „ხელების ენით“

ინდიელების ყოველი ტომი საკუთარ, სხვა ტომებისათვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობს. და მაინც, სხვადასხვა ტომის ინდიელებს შეუძლიათ ერთმანეთს გამოელაპარაკონ... „ხელების ენით“. ხელების სხვადასხვანაირი მოძრაობა სხვადასხვა წინადადებას ან აზრს ნიშნავს. ხელების ენით არა მარტო რაიმე ამბავს გადასცემენ ერთმანეთს, — გრძნობებსაც კი გამოხატავენ, მწუხარება იქნება ეს, სიხარული, აღტაცება თუ სხვა რამ.

### უცნაური გერბი

სახელმწიფო გერბებს შორის ყველაზე რთული და უცნაურია ბელგიის გერბი, — მასზე გამოსახულია: ვერცხლის ჯვარი, ოქროსგვირგვინოსანი გედი, მხედარი ცხენით, 3 გვირგვინი, ცხენის თავი, 6 ლომი, ცხვარი, დათვი, 16 გული და ურჩხული.

### მხოლოდ ოთხი კატა

ქალაქ დალასში (ტეხასის შტატი, ა შ შ) გამოვიდა დადგენილება, რომელიც ყოველ ოჯახს უფლებას აძლევს იყოლიოს მხოლოდ ოთხი კატა. საქმე იმაშია, რომ დალასის მკვიდრთ საოცრად უყვართ კატა. კატების რიცხვმა ქალაქში 175 ათასს მიაღწია, ამან კი, შესაძლოა, სხვადასხვა ავადმყოფობის გავრცელება გამოიწვიოს.

### წინასწარმეტყველებენ... ვაშლის გემოს

ლაონის პროვინციის (ჩრდილო-აღმოსავლეთი ჩინეთი) ხეხილის ინსტიტუტში ცდებით დაამტკიცეს, რომ შესაძლებელია წინასწარ გამოიცნო, თუ რა გემო ექნება შეჯვარებით მიღებულ ვაშლს. ამის გამოცნობა თურმე ნერგის ყლორტებისა და ფოთლის წვენის ანალიზით ხერხდება.

### მე-18 საუკუნის მოდაზე

ამ რამდენიმე ხნის წინ, ვულკანური ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა კუნძული ტრისტან და კუნია, რომელიც ატლანტის ოკეანეში, კეთილი იმედის კონცხსა და სამხრეთ ამერიკას შორის შუა გზაზე მდებარეობდა. კუნძულზე სულ რამდენიმე ასეული ოჯახი ცხოვრობდა. ვინც გადარჩა — ინგლისში ჩავიდა. მათ მე-18 საუკუნის მოდაზე შეკერილი ტანისამოსი ეცვათ და არც ერთ მათგანს თავის სიცოცხლეში არ ენახა თვითმფრინავი, ავტომობილი, რადიომიმღები.

### ფრთოსანი პაციენტებისათვის

შვეციის ქალაქ გეტებორგში გაიხსნა რამდენიმე „კლინიკა“, რომელთა პაციენტებიც თოლიები არიან. თოლიებს ძალზე აწუხებთ ზღვის ზედაპირზე მოტივტივე მაზუთი, რომელიც გემებიდან იღვრება ხოლმე. მაზუთი ფრთებს ისე მაგრად აწებებს, რომ საბრალო თოლიები აფრენას ვეღარ ახერხებენ.

გეტებორგის „კლინიკებს“ აქვთ სააბაზანო და საშრობი ოთახები. გასუფთავების შემდეგ, ფრთოსან პაციენტებს რამდენიმე დღე ნედლი თევზით კვებავენ და მერე თავის ნებაზე უშვებენ.






### არყის ხე და კოსმოსი

შეიძლება თუ არა კოსმოსური სივრცის განსაკუთრებით დაბალ ტემპერატურას შეეგუონ მცენარეები? თურმე შეიძლება. საბჭოთა მეცნიერებმა მაცივარში მოათავსეს არყის ხე და შავი მოცხარი. ტემპერატურას თანდათანობით დაბლა სწევდნენ. საბოლოოდ, მცენარეები ისე „გამოიწვრთნენ“, რომ 273 გრადუს ყინვასაც კი გაუძლეს.

არ დამზრალა ნორჩი ყლორტებიც, პირიქით, —ყვავილი გამოიტანეს.

### ზარმაცი ქალების ღვაწლი

ნეკერჩხლის შაქრის წვენი პირველად ზარმაცმა ქალებმა აღმოაჩინეს, — გვეუბნება ჩრდილოამერიკელი ინდიელების — იორკეზების ძველი ლეგენდა. ზარმაცი დიასახლისები, რომლებსაც წყაროს წყალზე შორს წასვლა ეზარებოდათ, ნეკერჩხლის ქერქს გასჭრიდნენ ხოლმე და მისი წვენით ავსებდნენ ჭურჭელს. ამ ქალებმა უნებლიეთ გაითქვეს სახელი; მათ მიერ დამზადებული კერძები გემრიელი და ტკბილი იყო.

ყველაზე მეტი შაქარი ნეკერჩხლის ქერქის წვენშია. ნეკერჩხალს ახლაც კი „შაქრის ხეს“ ეძახიან. მისი წვენი სამ პროცენტამდე შაქარს შეიცავს.

### ზღვის წყლით

ევროპის ზოგიერთ ქალაქში ქუჩებს ჩვეულებრივი წყლის ნაცვლად ზღვის წყლით რწყავენ. ეს ხერხი პირველად გამოიყენეს ლონდონში, 1960 წელს. ზღვის წყლით მორწყვა იმიტომ ჯობია, რომ ამ დროს ქუჩა უფრო გვიან შრება, თან ორგანული ნივთიერებების ლპობაც მცირდება.

# განმარტებანი:

განმარტებებს იძლევა ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი
არლი თაყაიშვილი.

**სახრე**—საქონლის გასარეკი მოქნილი ჯოხი. ნათქვამია: „ხარი სხვისა, სახრე ტყისა“-ო.

სიტყვა **სახრე** ისევეა ნაწარმოები, როგორც **სა-მელნ-ე**. მისი ამოსავალი ფუძეა **ხარ-ი**. სა თავსართისა და ე ბოლოსართის დართვით მივიღეთ **სა-ხარ-ე**. შემდეგ ა დაიკარგა და დარჩა **სახრე**. **სახრე**, ესე იგი ჯოხი, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ხარისთვის იყო განკუთვნილი.

**მეხრე**—ხარის გამრეკი. არსებობს დღისა და ღამის მეხრე. **დღის მეხრე** ხვნის დროს გუთნეულს უღელზე უზის და მიერეკება. **ღამის მეხრე** ხარებს ღამით აძოვებს.

„ღამის **მეხრე** ვარ, ტლუ ბიჭი,
ნაბადში გახვეულია“.

(რ. ერისთავი)

**მეხრე**-შიც ამოსავალ ფუძედ **ხარ-ი** იგულისხმება: **მე-ხარ-ე**; ეს სიტყვაც ისევეა ნაწარმოები, როგორც **მე-კარ-ე**, **მე-ღორ-ე**. ა აქაც გაქრა და დღეს მხოლოდ **მეხრე** იხმარება.

**ჭიშკარი**– ეზოს დიდი კარი, ალაყაფის კარი. იგი მიღებულია ორი სიტყვისაგან: **ბჭე** და **კარი** (ბჭის კარი).

„ბაღი მაქვს იგეთ-აგეთი,
გარს ზღუდე, ხუროს ნაგები...
უჩემოდ ვერვის მიართვეს
იმის **ბჭის კარის** საღები“.

(ხალხური)

**ბჭე** ცალკე სიტყვაა და ნიშნავს დიდ კარს, შესასვლელს.

ამრიგად, **ბჭის კარ-მა ჭიშკრად** ქცევამდე შემდეგი გზა გაიარა: ჯერ დაიკარგა ბ, რამაც გამოიწვია ამ ორი სიტყვის ერთ სიტყვად გადაქცევა: **ჭისკარი**. შემდეგ ჭ-ს გავლენით **ს** იქცა შ-დ და მივიღეთ **ჭიშკარი**.



**ბეჩავი**—ბედისაგან დაჩაგრული, უბედური, საბრალო.

„თუ წახვალ, თან წამიყვანე,
აქ ნუ გამწირავ ბეჩავსა“.

(ხალხური)



ვლადიმერ
მაჭავარიანი

**ООН**—ამ ორგანიზაციის რუსული სახელწოდების—Организация Объединенных Нации,—შემოკლებაა პირველი ასოების მიხედვით. ინგლისურად ამ ორგანიზაციას United Nations Organization ჰქვია.

„გაერთიანებული ერები“—ხშირად ასეც წერენ და ამბობენ. ამ ორგანიზაციის სრულ ქართულ სახელწოდებაში (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) შემავალი სიტყვების პირველი ასოების მიხედვით—მისი შემოკლებული ქართული სახელწოდება იქნება გეო.

## გაერთიანებული ერების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბეჩავი-ც თავდაპირველად რთული სიტყვა იყო: **ბედშავი**, ესე იგი შავი ბედის მქონე, უბედო.

„მიწამ გიმოყმა, ბედშავო,
დღენი ვერ ნახე მზიანი“.

(ხალხური)

სიტყვა **ბედშავ**-მა შემდეგნაირად იცვალა სახე: **დ** დაყრუვდა შ-ს გავლენით და იქცა **თ** ბგერად: **ბეთშავი.** შემდეგ, ქართულ ენაში მოქმედი ფონეტიკური კანონის საფუძველზე, თშ შეცვალა **ჩ** ბგერამ და მივიღეთ **ბეჩავი. ხანდახან ბეჩავი** შეკვეცილადაც გამოითქმის ხოლმე—**ბეჩა.**

„რა დაგემართა, ბეჩა, სახე სახეს არ გიგავს“. (ნ. ლორთქიფანიძე)

## განმარტეთ:

### საბძელი, ძარბაისელი, ქარიშხალი

**გეო** მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაარსდა. 1945 წლის 24 ოქტომბერს 51 სახელმწიფოს წარმომადგენელმა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სანფრანცისკოში ხელი მოაწერეს დეკლარაციას, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია მოწოდებულია უზრუნველჰყოს მშვიდობა მსოფლიოში:

**გეოს** მთავარი ორგანოებია: გენერალური ანსამბლეა, რომელშიც გეოში შემავალი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელი შედის, უშიშროების საბჭო, ეკონომიური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო.

**გეოს** მუშაობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს უშიშროების საბჭო; მისი მუდმივი წევრებია: სსრკ ა შ შ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კი არა,—ტაივანზე მოკალათებული ჩანკაიშელების წარმომადგენელი). ამ საბჭოში აგრეთვე ექვსი არამუდმივი წევრია; არამუდმივ წევრებს ორ-ორი წლით ირჩევენ.

**გეოს** ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი. გეოს მდივნებად მუშაობდნენ ნორვეგიელი ტრიუგვე ლი, შვედი დაგ ჰამარშელდი. ახლა ამ ორგანიზაციის მდივანია ბირმელი უ ტანი.

**გეოს** დაარების დროს ჩინეთში გომინდანელთა ხროვა ბატონობდა და უშიშროების საბჭოში წარმომადგენლად ჩანკაიშელი შეიყვანეს.

1949 წელს ჩინეთში სახალხო რევოლუციამ გაიმარჯვა.

საბჭოთა კავშირი და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო მოითხოვს **გეო**დან ჩანკაიშელის გაძევებას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეყვანას. იმედია, ახლო მომავალში, შვიდასმილიონიანი ჩინეთი კუთვნილ ადგილს დაიკავებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაიწყო კოლონიალური სისტემის რღვევა. ბევრმა ქვეყანამ ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ახლა **გეო**-ში 111 სახელმწიფოა გაერთიანებული

თუ **გეო**-ს არსებობის პირველ ეტაპზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არ უძნელდებოდათ ამ ორგანიზაციის თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენება (გავიხსენოთ ამერიკის აგრესული მოქმედება კორეაში 1950-1953 წ. წ. და **გეო**-ში გაერთიანებულ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოზიცია ამ აგრესიის მიმართ), ახლა სხვა მდგომარეობაა, -- იმპერიალისტური სახელმწიფოების მზაკვრულ ოინებს წინ ეღობება არა მარტო სოციალისტური სამყარო, არამედ აფრიკისა და აზიის ახლად აღმოცენებული სახელმწიფოებიც.

ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი სახელმწიფო ჯერჯერობით ა შ შ ეკონომიურ და პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდის. ამიტომ ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, არც თუ ისე იშვიათად იძულებული არიან მხარი დაუჭირონ იმპერიალისტების ხრიკებს.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები ყოველ-ღონეს ხმარობენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოწოდების სიმაღლეზე იდგეს და პირნათლად ასრულებდეს თავის მოვალეობას.



## ორგანიზაცია

# ? თავსატეხები

### კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. სპორტსაზოგადოება; 2. ძვირფასი ქვა; 4. მდინარე შვეიცარიაში; 5. ქალაქი თურქეთში; 6. ქალაქი ჩრდილო ამერიკაში; 7. კონტინენტი; 9. ხის ნაყოფი; 11. სახელმწიფო ევროპაში; 14. მტაცებელი ფრინველი; 15. ლითონი; 16. ტბა საბერძნეთში.

**ჰორიზონტალურად:** 3. სპორტული ინვენტარი; 5. ქალაქი ინდონეზიაში; 6. ქალაქი რსფსრ-ში; 8. მტაცებელი ფრინველი; 10. მდინარე სსრ კავშირში; 11. ჭრილობა ანუ... 12. მარცვლეული; 13. ჭურჭელი; 17. ქალაქი მურმანსკის ოლქში; 18. ქალაქი იაპონიაში; 19. უმძიმესი წონის მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

**ავთანდილ ჩარგეიშვილი,**
თბილისის, 51-ე საშ. სკოლის
V კლ. მოსწავლე.

### გამოცანები

1

ზაფხულში—მინდვრად ელვარებს,
ზამთარში—უქმად ჰკიდია;
ტარით მიწაში ჩავარჭე,—
ჰგავს ვეებერთელა შვიდიანს.

2

ერთი წითელი ტომარა
სავსეა ოქროს მარცვლებით,
ენა დავაწე,—ამიწვა,
ავტირდი, როგორც ნაცემი.

**გ. წერეთელი**

გარეკანის პირველი გვერდი დახატა ლეონარდო შენგელიამ.

## პასუხები

### კროსვორდი

1. ახალციხე; 2. ევფრატი; 3. ირემი; 4. იხვი; 5. იანძიძიანი; 6. ისპანახი; 7. ია, 8. ამუდარია; 9. ასკილი; 10. იადონი; 11. ინილჩეკო; 12. იალაღი; 13. ირისი; 14. იანა; 15. ალუბალი; 16. ირანი; 17. ისპარტა.

### აბა, სცადე!

1. ფედოტოვი; 2. ელოშვილი; 3. ხოჭოლავა 4. ბარქაია; 5. ურუგვაი; 6. რაზინსკი; 7. თერთმეტი; 8. იამანიძე.

საწყისი ასოებით მიიღება—„ფეხბურთი".

### თავსატეხი



სწორკუთხედი იყოფა ორ ტოლ ნაწილად ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

### ამოცანა

ცხენოსანს საათში უნდა გაევლო... ცხენოსანს საათში უნდა გაევითარებინა 15 კმ და მე-60 კილომეტრზე დაეწეოდა ქვეითად მავალ მგზავრს.

### გამოცანა

საუკუნე, წლები და თვეები.


რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, როსტომ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), გიორგი შატბერაშვილი

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 07539 ტირ. 32.000. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დაიბ. 3/VI-63 წ.
სტამბის შეკვ. 1012. გამომც. შეკვ. 75. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი







ასე ახლდება პინგ-პონგის ჩაჭყლეტილი ბურთი



ყვავილი ასეც „მოიკლავს წყურვილს“





აი, როგორ კეთდება გაზეთისაგან ქუდი



სცადეთ ასეთი სკამების გაკეთება

ბ. 4/193

ИНДЕКС 76157

# სიტყვასიტყვით გაგებით



ერთ ტაფაში ვიწვით.




ბორჯომში ისვენებს



ქვა ააგდო და
თავი შეუშვირა



სილა აჭამა



ჯორზე შეჯდა



ხელმოკლე კაცი